კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

შაბათი, 16 მაისი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 110 (1265)

დღიური

— მექსიკაში აგრარული რევოლიუცია დაიწყო.

— ინგლისის მუშათა პარტია ენერგიულ კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ.

— საფრანგეთში ილაშქრებენ ბულგარეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

— ინგლისში აკრძალეს „პრავდა“-ს გავრცელება.

— ინგლისში ძლიერდება პროფკავშირების რევოლიუციონური ფრთის გავლენა.

კვირას, ა | წ. მაისის 17-ს, თანახმად თბილისის საბჭოს პლენუმის სურვილისა,

აღმასკომის პრეზიდიუმი აწყობს ექსკურსიას

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის დასათვალიერებლად.

საბჭოს წევრები უნდა გამოცხადდენ ნაცვლად თბილისის სადგურისა (როგორც გუშინდელ №-ში იყო აღნიშნული) აღმასკომის შენობასთან დილის სრულ 8 ნახევარ საათზე.

ნ. 1172 2—2. პრეზიდიუმი.

პასუხისმგებლობის გრძნობა

II

გუშინ ჩვენ ვესაუბრებოდით მკითხველებს ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამის შესახებ. ვწერდით, რომ არიან სოფლად ისეთი მოხელეები, რომლებიც, საპასუხისმგებლო მუშაობაზე დაყენებულნი, ბოროტათ იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, მედიდურობენ, ცუდათ ეპყრობიან გლეხობას, სჩადიან სხვადასხვა დანაშაულებას და, ასე გასინჯეთ, ახერხებენ კიდევაც დაუსჯელი გადარჩენ. ვამბობდით, რომ ასეთი მოხელეების გამო საბჭოთა მთავრობას ედება ჩირქი ხალხის თვალში, რომელსაც ისინი წარმოუდგებია ამ მთავრობის წარმომადგენლებათ, მის განსახიერებათ ადგილებზე და რევოლიუციონური წესრიგის, კანონების დამცველებათ, როგორებიც ისინი მართლაც უნდა იყვნენ. ჩვენ ავღნიშნავდით, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ მთელი ენერგია უნდა განავითარონ, რათა ეს უმსგავსოება აღმოიფხვრეს ძირიან-ბუდიანათ. მაგრამ, როგორც ვუთითებდით, ეს ძნელი იქნება, თუ ამაში ჩვენ არ გვეყოლა დამხმარეთ ისევ მშრომელი ხალხი, ადგილობრივი მოსახლეობა და თუ პასუხისმგებლობის გრძნობა არ იქნა განმტკიცებული ადგილობრივ მუშაკებში.

კუთხის თუ სოფლის მოსახლეობამ, სადაც მოხდა რომელიმე ბოროტმოქმედება ამა თუ იმ მოხელის, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს ან ცენტრალურ მთავრობას. ეს მიმართვა შეიძლება იყოს კოლექტიური, ე. ი. რამოდენიმე კაცის პირით ან ხელის მოწერით. შეიძლება—და ეს უფრო ადვილი—ეს მოხდეს ერთი პირის საშუალებით, როდესაც ეს პირი გამოხატავს საერთო სურვილს. ჩვენ გვაქვს ინსპექცია, გვაქვს საკონტროლო კომისია (იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხება პარტიის წევრს, ხოლო პარტიის ღირსი წევრი შეიძლება იყოს), გვაქვს გაზეთები, რომლებიც ააშკარავებენ, ამჟღავნებენ ბოროტმოქმედებას, არჩევენ საქმეს და, თუ დამტკიცდება ბრალდება, დამნაშავენი ისჯებიან.

შეიძლება გვითხრან: ყოველისფერი ეს კარგი, მაგრამ ამას ყველა ვერ გაბედავს, ეშინიათო. შეიძლება ამ დაბრკოლებასაც—თუ მართლა ასეთ შიშს სადმე ექნება ადგილი—შემოუაროს კაცმა. ამისთვის ბევრნაირი საშუალება არის, ეს საშუალება კარგად იციან ჩვენმა კორესპონდენტებმა ე. ი. იმ ამხანაგებმა, რომლებიც თანამშრომლობენ ჩვენს გაზეთებში, გვაწვდიან სხვადასხვა ცნობებს ადგილობრივი ცხოვრებიდან და კერძოდ ხსენებულ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

მაგრამ სანამ ეს ცნობები ცენტრამდი მოაღწევენ, ასეთი საქმეების მოგვარება და გარჩევა უნდა იკისრონ ადგილობრივმა ორგანოებმა, ადგილობრივმა ამხანაგებმა, რომლებიც ჩვენზე უფრო ახლოს სდგანან სოფლის ცხოვრებასა და მის ჭირ-ვარამთან, რადგან ისინი მუშაობენ ადგილობრივ, ისინი ადევნებენ—უნდა ადევნონ—თვალყურს ადგილობრივ საქმეებს და მოსაქმეებს. თუ ეს რაიმე მიზეზის გამო ადგილობრივ ვერ ხერხდება, მაშინ თავისთავათ იგულისხმება, რომ ის დანაშაულებანიც, რომლებსაც ზოგიერთები „წვრილმანს“ უწოდებენ, უნდა ეცნობოს ცენტრს.

ყოველი მუშაკი, მით უმეტეს პასუხისმგებელი, რომელიც სდგას თავისი დიდი მოვალეობის სიმაღლეზე, რომელიც გრძნობს თავის პასუხისმგებლობას ხალხისა და რევოლიუციის წინაშე, მოვალეა თვალყური ადევნოს თავისი მოქმედების რაიონში და ყველგან, სადაც კი მას მიუწვდება თვალი და ყური, იმ მოხელეებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ მთავრობის პრესტიჟს და რომლებსაც რღვევისა და დაშლის ელემენტები შეაქვთ მიმდინარე აღმშენებლობითი მუშაობაში სოფლად.

ხოლო ასეთი მოხელეები არიან გაბნეული ჩვენს სოფლებში. საჭიროა აქვე მოვიყვანოთ ერთი მაგალითი იმის დასასურათებლათ, **თუ როგორ არ უნდა მოიქცნენ ადგილობრივი მუშაკები.**

სამი დღის წინათ ჩვენ გამოვაქვეყნეთ „კომუნისტში“ ერთი ცნობა სურების რაიონიდან. ეს ცნობა შეეხებოდა ამ რაიონის ტყის დარაჯს ჟორდანიას. ვინ არის პირადათ ეს ჟორდანია—ჩვენ არ ვიცით· ჩვენთვის ცნობილია ნოე ჟორდანია, თედო ჟორდანია, მაგრამ იაშა ჟორდანიას შესახებ, უნდა გამოვტყდეთ, გვესმის პირველათ და გვესმის ამბები არა სასიქადულო. აი რა მოგვწერეს მის შესახებ:

„ეს ბატონი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რათა მარცხენა ჯიბე გაისქელოს და მეტი მოგება ნახოს:

იღებს ქრთამებს, რომლის მაგალითი არა ერთი და ორია.

ართმევს გლეხებს ფულს, თითქოს ბილეთის ფასათ, და შემდეგ უარს ეუბნება.

შეკითხვის დროს, თუ რისთვის არ მიუტანა გლეხს ბილეთი, ამბობს: „შენ, რა გენაღვლება კაცო, წადი იმუშავე, მე არ დაგიჭერ და არც არავის დავაჭერინებ შენს თავს და რას ჩივიო“.

რასაკვირველია ბატონი ჟორდანია ამ ფულებს ბილეთების ყიდვის მაგივრათ ჯიბეში იდებს და სახელმწიფო ქონებას ფლანგავს თავის გემოზედ.

ხსენებულ ჟორდანიაზე მრავალი ოქმები დაიწერა და გადიგზავნა მაზრაში, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია.

ბოლოს შემთხვევით თბილისიდან ამხ. თ. ქლენტის მონაწილეობით ჩამოვიდა კომისია, რომელიც, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარებით, ისე თვით საზოგადოებაში (მასიურ კრებაზე) ნათლად გაერკვენ ჟორდანიას საგმირო საქმეებში და აღუთქვეს ხალხს მისი მოშორება, **მაგრამ მიუხედავათ ასეთი დაპირებისა, როცა ხალხს ეგონა, რომ ჟორდანია თუ არ [illegible] ციხეში მაინც დიდი ხნით ჩააჯდენენო, ისევ მოევლინა საზოგადოებას და განაგრძობს „საშვილიშვილო საქმეებს“.**

თან ეუბნება გლეხებს:

„თქვენ ვინ გკითხავს, რა თქვენი საქმეა; მე და მაზრამ ვიცით, გამეცით, მაგრამ მე გაყურებიებთ თქვენს სეირსო“.

საჭიროა ვიცოდეთ ვინ სწყალობს ვაუბატონ ჟორდანიას ამ მაზრიდან.

მოგვაშორეთ ჟორდანია, სანამ შეგვჭამდეს!“

აი ფაქტი. ჩვენ მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას ამაზე. კაცი ტყის დარაჯია. სახელმწიფოს სამსახურშია, ისიც ისეთში, **რომ ყოველ წამს საქმე აქვს გლეხობასთან.** თავის მდგომარეობას ბოროტათ იყენებს. ამას ხალხი ხედავს, ის მისი წინააღმდეგია, ყვირის: მოგვაცილეთ ჟორდანია, სანამ შეგვჭამდესო. საჩივრები საჩივრებზე მიდის სამაზრო ცენტრში, როგორც გვწერს კორესპონდენტი, მაგრამ არაფერი აქედან არ გამოდის. ბოლოს შემთხვევით ერთი კომისია ჩადის იქ, არკვევს, სხვათა შორის, ამ საქმესაც და ხალხს ჰპირდება მოგაშორებთ ჟორდანიასო. მაგრამ იაშა ჟორდანია თავის ადგილზეა და განაგრძობს მუშაობას.

ორში ერთი: ჟორდანია ან მართალია, ან და ის მტყუანია. **მესამე შესაძლებლობა აქ წარმოუდგენელია**—ამაში უნდა დაგვეთანხმოს ყველა.

თუ ის მტყუანია—რატომ არ მოხსნიან ადგილიდან, რატომ არ სჯიან, სად არის დამარხული მისი საქმე?

თუ ის მართალია—რატომ ის, ვის მოვალეობასაც ეს შეადგენს, არ მივა აღშფოთებულ გლეხობასთან, არ აუხსნის, არ გაურკვევს, არ დაუმტკიცებს მას, რომ ტყის მცველი მექრთამე და ბოროტმოქმედი არ არის, რატომ არ ამშვიდებს ხალხს, რატომ სტოვებს მას, უკეთეს შემთხვევაში, ამ გაუგებრობაში—თუ მართლა გაუგებრობას აქვს ადგილი—რატომ არ გაფანტავს ხალხის უკმაყოფილების ატმოსფერას, იმ უკმაყოფილების, რომელიც **ბოლოს და ბოლოს ხელისუფლების მისამართით იძვრის და ამ ხელისუფლებას ეხვევა თავზე ადგილობრივ მცხოვრებთა წარმოდგენაში და გაგებაში?**

რა არის აქ მოუხერხებელი და შეუძლებელი?

ასე არ ვარგა. ასე საქმეს ვერ გავაკეთებთ, ასეთი „ნაბიჯით“ შორს ვერ წავალთ.

საჭიროა მეტი სიფრთხილე და მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა.

მხოლოთ ასეთი მუშაობით, მხოლოთ მშრომელი ხალხის აქტიური დახმარებით მოვსპობთ ჩვენ ბოროტებას, განვკურნავთ ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამს.

საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობა

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ჩვენ მიზნად ვისახავთ საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფას.—თუ ინგლისს სურს ჩვენთან ურთიერთობის მოწესრიგება, ის უნდა გველაპარაკოს ჩვენ, როგორც სწორი სწორს.—სანამ ინგლისი არ მოაწესრიგებს ურთიერთობას ჩვენთან, მანამ საერთაშორისო მდგომარეობა მერყევი იქნება.—გერმანიასთან ახალი, უფრო ფართე ხასიათის სავაჭრო ხელშეკრულება იქნება დადებული.—ევროპა „ციებ-ცხელებით“ არის შეპყრობილი.—ევროპაში ხდება რეაქციის ძალების დარაზმვა და ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ.—ჩვენ შევასრულებთ იმ ამოცანას, რომელსაც გვავალებს პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის არსებობა.

მოსკოვი, 15 მაისი. 15 მაისის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი*) ამხ. რიკოვის მიერ საკავშირო მთავრობის მოღვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო. მთელ რიგ ორატორების შემდეგ რიგს გარეშე სიტყვა მიეცა ამხ. ჩიჩერინს, რომელმაც გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

„ის კრიტიკა,—დაიწყო ჩიჩერინმა—რომელიც აქ გაისმოდა, ის მრავალრიცხოვანი შეკითხვები, რომელიც დამსწრეთაგან შემოვიდა, ამტკიცებს იმას, თუ რა ცხოველი ინტერესით ეპყრობა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს ჩვენი ყრილობა და, მაშასადამე, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობაც.

მართლაც ამჟამად შინაური და საერთაშორისო პოლიტიკა ისე მჭიდროთაა ერთმანეთთან გადახლართული, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვითეულ საკითხში არსებობს უშუალო კავშირი, რომლის შეგრძნობა სულ ადვილია.

ყველაზე მეტად და მკაფიოდ გამოსული ამხანაგების კრიტიკა მიმართულია პოლონეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩვენი დამოკიდებულება პოლონეთთან.

კერძოთ წამოყენებული იყო ის უდავო ფაქტი, რომ რიგის ხელშეკრულების მუხლი, რომელიც ეროვნულ უმცირესობათ აძლევს კულტურულ განვითარების საშუალებას, მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ სიტყვათ რჩება პოლონეთში. ეს საკითხი არის ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც დასმულია ჩვენსა და პოლონეთს შორის. ამ საკითხის მდგომარეობა შეიძლება გაგებული იქნას მხოლოდ ყველა სხვა საკითხებთან დაკავშირებით და მთელ ჩვენ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ჩვენი პოლიტიკის მიზანია დავიცვათ მშვიდობიანობა, დავამყაროთ მშვიდობიანი ურთიერთობა, ხელი შეუწყოთ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას.

ჩვენი შინაური პოლიტიკის მთავარ მიზანს ამ ჟამად შეადგენს სახალხო მეურნეობის აღდგენა. სახალხო მეურნეობის აღდგენა კი წარმოუდგენელია საერთო მდგომარეობასთან კავშირის გარეშე, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც საერთაშორისო კაპიტალი უარყოფითად არის განწყობილი ჩვენთან კავშირის დაჭერისადმი, და ჩვენ გვიხდება მეურნეობის აღორძინება მხოლოდ საკუთარი ძალებით.

5 წლის წინად, მას შემდეგ, რაც ჩვენ დავდევით პირველი საზავო ხელშეკრულებანი ჩვენს მეზობლებთან, მე ვსთქვი, რომ ჩვენ გადავდივართ ისტორიის ახალ ხანაში, რომელიც მე დავახასიათე, როგორც ორი სამეურნეო სისტემის ერთმანეთთან მშვიდობიანი შეტაკება. ამ მშვიდობიან შეტაკების განვითარება, ჩვენის მხრივ უფრო წარმატებითი განვითარება—აი რა ხდება ეხლა, აი რა შეადგენს დღეს ჩვენი პოლიტიკის შინაარსს.

ჩვენი მთავრობისათვის, როგორც მუშურ-გლეხური მთავრობისათვის, სავსებით უცხოა დაპყრობითი და იმპერიალისტური ზრახვები, ლტოლვა სხვა ხალხთა ექსპლოატაციისაკენ. ჩვენი პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანობის შენარჩუნება, არის თავდაცვის პოლიტიკა, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით და მოქმედებით ემსახურება ჩვენი ტერიტორიის, ჩვენი საზღვრების, ჩვენი სანაპიროების და ყველა იმ გზების დაცვის მიზნებს, რომელიც ამ სანაპიროებისაკენ მოდის. როდესაც ჩვენ, მაგალითად, მოვითხოვთ სრუტეების დახურვას სამხედრო გემებისათვის, ამის მიზანია საყოველთაო მშვიდობიანობისათვის ხელის შეწყობა, ვინაიდან ამით მცირდება ასპარეზი, რომელზედაც სწარმოებს სამხედრო მოქმედება. თუ, ამგვარად, ჩვენ ავიღებთ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის თვითეულ მუხლს, დავინახავთ, რომ იგი მუდამ დაკავშირებულია მშვიდობიანობის დაცვის მიზნებთან.

ამავე დროს, ჩვენი პოლიტიკის სწორედ ამ მთავარ მომენტში მისი მშვიდობიანი ხასიათი სულ სხვანაირად ესმით ჩვენს მოწინააღმდეგეებს და წარმოადგენს იმ ცილისწამების საგანს, რომელსაც ჩვენ დღეს ვხედავთ.

სწორედ ამ მომენტში მოხდა ერთი პატარა ეპიზოდი, რამაც ახალი ძლიერი კამპანია გამოიწვია ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ გვიყენებენ ბრალდებას, რომ თითქოს ჩვენ გვინდა მშვიდობიანობის დარღვევა და ყველგან არეულობის გამოწვევა.

ჟენევაში გაიმართა ერთა ლიგის მიერ მოწვეული კონფერენცია იარაღით საერთაშორისო ვაჭრობის საკითხის მოსაგვარებლად. ჩვენ უარი განვაცხადეთ მიგვეღო მონაწილეობა ამ კონფერენციაზე და ამას ვასაბუთებდით ისეთი მოსაზრებებით, რომელიც ყველასათვის ცხადია. ამ ფაქტმა გამოიწვია ახალი, სასტიკი კამპანია ჩვენს წინააღმდეგ. თქვენ, ალბად, წაიკითხეთ გაზეთებში, რომ ჟენევის პრესა, რომელიც დაკავშირებულია ერთა ლიგის მუდმივ ცენტრთან, მოითხოვს ერთა ლიგის გარდაქმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საყოველთაო კავშირად ემყარება რა სწორედ იმ ფაქტს, რომ ჩვენმა ამ კონფერენციაზე არ ყოფნამ ხელი შეუშალა გაბატონებულ სახელმწიფოების გეგმის გატარებას. ემყარება რა ამას, ერთა ლიგის ცენტრთან დაკავშირებული პრესა მოითხოვს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს ერთა ლიგის მეთაურობით.

უკანასკნელ დღეების მეორე ფაქტი, რამაც ახალი თავდასხმები გამოიწვია ჩვენ წინააღმდეგ, ეს არის საშუალო აზიის ხალხთა გამიჯვნა—იმ გარემოებამ, რომ შუა აზიაში წარმოიშვენ საკავშირო ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც დაარსდენ ეროვნული ნიშანდობის მიხედვით, ჩვენს მოწინააღმდეგე პრესას საბაბი მისცა ბრალი დაედო ჩვენთვის იმაში, რომ ეს რესპუბლიკები არიან ჩვენი ანექსიონისტური ზრახვების დასაყრდენი წერტილი მეზობელ სახელმწიფოების მიმართ. მაქვს რა სახეში ჩვენი მოწინააღმდეგეების ეს გამოსვლები, მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ეს ბრალდება არის სიცრუე და ცილისწამება.

იმ ჩვენ მოწინააღმდეგეთა თითქმის მთავარ თემას, რომელნიც ბრალს გვდებენ ჩვენ იმაში, თითქოს ჩვენ გვსურს ყველგან ავანთოთ ომის ჩირაღდანი და შევიტანოთ არევ-დარევა, შეადგენს ბალკანეთის ამბები. ჩვენის მხრივ ადგილი არა აქვს არავითარ ცდას შევიტანოთ არევ-დარევა ბალკანეთის ან სხვა სახელმწიფოების ცხოვრებაში. ეს არის ცილისწამება, რომელიც ჩვენ უნდა უარვყოთ.

ამგვარად, ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა პოლონეთის მიმართ შეადგენს მხოლოდ მთელი ჩვენი მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. პოლონეთში სცდილობენ მტკიცე შეთანხმებას მიაღწიონ ჩვენთან, მეორეს მხრივ მოიპოვებიან მებრძოლი ელემენტები, არსებობს ცდა გააფართოვონ თავიანთი ძლიერება, შეუკავშირდენ რუმინეთს, გააფართოვონ თავიანთი აღმოსავლეთის საზღვრები სპარსეთამდე.

ჩვენ მიზნათ ვისახავთ ხელი გაუწოდოთ იმ მიმართულებას პოლონეთის შიგნივ, რომელიც ებრძვის ავანტიურისტულ ზრახვებს, ებრძვის პოლიტიკის მებრძოლ ელემენტებს, და რომელიც მთელ თავის ძალღონეს ახმარს ჩვენთან შეთანხმების მიღწევას.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი ანვითარებს პოლონეთში გაცილებით უფრო აქტიურ მოქმედებას, ვიდრე წინად. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ეს მოქმედება იქნება აგრეთვე არსებითი ელემენტი ჩვენი და პოლონეთის შორის მტკიცე შეთანხმების საქმეში.

ინგლისი და ანტისაბჭოთა ფრონტი.

უკანასკნელი დროის პოლიტიკურ პირობებში მსოფლიოს უმთავრეს ქვეყნებში რეაქციის გაძლიერების დროს ჩვენ წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შედგენის საკითხი წარმოადგენს ჩვენთვის უმთავრეს თემას; მთავარი როლი ეკუთვნის ინგლისს. ინგლისი მჭიდროთაა დაკავშირებული ამერიკასთან. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვაყენებთ კითხვას ჩვენი საკუთარი მდგომარეობის შესახებ, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ მსოფლიო პრესაში ჩვენ წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შედგენის ამბავს, მაშინ ვეკითხებით ჩვენს თავს, რა როლს ითამაშებს ესა თუ ის სახელმწიფო. ჩვენ ყველაზე მეტად უნდა გვაინტერესებდეს ამ მხრივ ინგლისის მდგომარეობა.

ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ოფიციალურად აცხადებს, რომ ის არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ავტორი ან ინიციატორი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ მსოფლიო და ინგლისის პრესაში მრავალ საბუთებს იმისას, რომ ინგლისი დიდ როლს თამაშობს ჩვენ წინააღმდეგ საყოველთაო მტრული განწყობილების პირობების შექმნაში, რომელშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა.

ამჟამად ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის პოზიცია ცოტათი სხვანაირია. ის ამბობს, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარება არ შეიძლება მანამ, სანამ ის არ შესწყვეტავს პროპაგანდას. ის სიტყვა სიტყვით იმეორებს კერზონის ნათქვამს.

როდესაც ლაპარაკობენ, რომ ყოველგვარი პროპაგანდა საბჭოთა კავშირის მხრივ უნდა იქნას შეწყვეტილი, ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიები აღარ დარჩენ კომუნისტურ პარტიებათ. და აქ საქმე ეხება იმას, ვრჩებით თუ არ ვრჩებით ჩვენ. ჩვენ ვრჩებით. პირველ წლების გამოცდილებამ საკმაოთ დაამტკიცა, რომ ჩვენი დამხობა შეუძლებელია, რომ „ჩვენ ვართ აქ და დავრჩებით აქ“.

მე მაგონდება, როდესაც 1910 წლის ცეკას პლენუმის შემდეგ პარტიულ კრებაზე მარტოვი ილაშქრებდა ვლადიმირ ილიჩის წინააღმდეგ ცეკას უმრავლესობის ზოგიერთ გადაწყვეტილებისათვის, ვლადიმირ ილიჩმა საპასუხო სიტყვაში გამოაშკარავა, რომ აქ საქმე ეხებოდა ბრძოლას ძალაუფლებისათვის პარტიის შიგნივ და სთქვა: „თქვენ გინდათ ჩვენი დამხობა—აბა სინჯეთ“.

სწორედ ასევე, როცა ჩვენ გვეუბნება ჩემბერლენი: „დეე შეწყდეს ყოველგვარი პროპაგანდა, დეე კომპარტია ნუ იქნება კომუნისტური“,—ჩვენ უნდა უპასუხოთ: „ჰქენით ეს, მოქალაქე ჩემბერლენო“. მათ სცადეს ეს ექნათ, მაგრამ ვერ შესძლეს.

რომ მოაგვაროს დამოკიდებულება ჩვენთან, ინგლისის მთავრობამ უნდა დაიკავოს ის პოზიცია, რომელიც წარმოადგენდა მის პოზიციას წინად, ე. ი. მოწესრიგება ერთი მთავრობის დამოკიდებულებისა მეორესთან. ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია მთავრობის პოლიტიკის, მთავრობათა შეთანხმების და ვალდებულებების მხრივ, ჩვენი ოფიციალური აპარატის დარგში,—ჩვენი მთავრობა მზად არის იკისროს და კიდეც კისრულობს თავის თავზე.

ამ ნიადაგზე დეე იყოს კონკრეტიული მოთხოვნილებები და გარკვეული შეთანხმება. სანამ ეს არ მოხდება, დარჩება ჩვენსა და ინგლისს შორის და ამიტომ დარჩება მთელს საერთაშორისო პოლიტიკაში ის მერყეობის ელემენტები, რომელსაც ეხლა ასე მტკივნეულად გრძნობენ იგივე კაპიტალისტური სახელმწიფოები.

საფრანგეთის პოლიტიკა ცვალებადია.

ჩვენსა და საფრანგეთს შორის მდგომარეობა გაცილებით უფრო მარტივია, იმის გამო, რომ თვით საფრანგეთის პოლიტიკა არ წარმოადგენს იმდენად მსოფლიო და საყოველთაო პოლიტიკას, როგორც ინგლისის პოლიტიკა. ჩვენ გვსურს მოვაგვაროთ საფრანგეთთან არა მარტო ვალების საკითხი, არამედ ის პოლიტიკური საკითხებიც, რომლებიც დასმულია ჩვენს შორის.

ინგლისი ოფიციალურად უარყოფს მტრულ ზრახვებს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტიურად ჩვენ ყოველგან ვხვდებით ჩვენს გზაზე ინგლისის და მისი აგენტების წინააღმდეგობას. ინგლისის პოლიტიკა ცვალებადია. იქ იბრძვიან სხვადასხვა ტენდენციები. ასევე ცვალებადია საფრანგეთის პოლიტიკაც.

ჩვენის მხრით არის სურვილი შეთანხმებისა როგორც საფრანგეთის, ისე ინგლისის მიმართ. ჩვენ ცხადვყოფთ იმას, რომ ჩვენი პოლიტიკა არის შეთანხმების პოლიტიკა, მშვიდობიანობის პოლიტიკა, ურთიერთობის მოწესრიგების პოლიტიკა და რომ, როცა ეს არ ხერხდება, წინააღმდეგობა მომდინარეობს არა ჩვენგან, არამედ მეორე მხრიდან.

დამოკიდებულება გერმანიასთან

ცვალებადობას და გაურკვევლობას ვხედავთ გერმანიის მხრივაც. მაგრამ გერმანიის მთავრობას აშკარად ემჩნევა, რომ მას არ სურს შესწყვიტოს ის მეგობრული დამოკიდებულება ჩვენთან, რომელიც შეიქმნა და განვითარდა უკანასკნელ წლეებში.

ის სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის გარშემო ამ ჟამად მუშაობს მოსკოვში ჩვენი დელეგაცია გერმანიის დელეგაციასთან ერთად, შეიძლება გახდეს სერიოზული ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობის მოგვარებაში.

„იტალიის მთავრობისაგან ჩვენ მეტი გარკვეულობა გვსურს“

გაურკვევლობას და ცვალებადობას ადგილი აქვს ნაწილობრივ იტალიის მხრივაც, რომელიც მთელი უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საზოგადოდ მეგობრულ პოლიტიკას იცავდა ჩვენს მიმართ. იტალიის მთავრობას ამ ჟამად არა საკმაოდ გარკვეულად უჭირავს ის ხაზი, რომელსაც ის ატარებდა მთელი უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში.

ჩვენ ვისურვებდით იტალიის მთავრობის მხრივ მეტ გარკვეულობას ყველა იმ პარლამენტარულ ღონისძიებებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მხრივ, რომლებიც მიმართულია იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

„ევროპა ციებ-ცხელებით დასნეულდა“

საერთოდ და მთლიანად ეს გაურკვევლობა და ჩამოუყალიბებლობა ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობის ეხლანდელ მომენტს. ეხლა უფრო ძნელია, ვიდრე ოდესმე, წინასწარ განსჭვრეტა იმის, თუ რა მოხდება ხვალ.

დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა მეტათ ხშირათ გვაგონებს მალიარიით დაავადმყოფებულ ადამიანს, რომელსაც უეცრათ სიცხე ემატება, მეორე დღეს კი სიცხე სწრაფად ეშვება ქვევით. ევროპა, ასე ვსთქვათ, ომის დროს დაავადმყოფდა მალიარიით.

მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ არახელსაყრელი ელემენტები, საერთაშორისო რეაქციის გაერთიანების ელემენტები, უკანასკნელი დროის განმავლობაში მაინც უფრო ძლიერია და ამიტომ, რამდენათაც ჩვენი პოლიტიკა მიზნათ ისახავს ჩვენს წინააღმდეგ მომართულ კომბინაციების დაშლას, ყოველგვარი საშიშროების თავიდან აცილებას, იმდენათ ეხლანდელი მომენტი ჩვენთვის უფრო ძნელია, ვიდრე წინა პერიოდი.

რატომ იზრდება ჩვენი გავლენა აღმოსავლეთში

რამდენათაც ევროპაში მალიარია ეხლანდელი მდგომარეობის დამახასიათებელი სიმპტომია, იმდენათ აზიის ქვეყნებში ჩვენ სულ საწინააღმდეგო რამეს ვამჩნევთ.

ჩვენ არ ვცდილობთ გავყლიფოთ აღმოსავლეთის ეკონომიურათ ჩამორჩენილი ერები, ამით აიხსნება ჩვენი გავლენის ზრდა აღმოსავლეთში.

უკანასკნელი დროის განმავლობაში ჩვენ ვამჩნევთ, თუ როგორ სცდილობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და პირველ რიგში ინგლისი თავისი პოლიტიკა შეუფარდონ შეცვლილ პირობებს აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. საინტერესოა, რითი გათავდება ყველაფერი ეს, რადგან ამაში, რასაკვირველია, არის მეტად დიდი შინაგანი წინააღმდეგობა. მაგრამ ამ ჟამად არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ინგლისის დიპლომატია სცდილობს თავისი პოლიტიკა შეუფარდოს ამ შეცვლილ ურთიერთობას და ეს უკვე ამტკიცებს იმას, თუ რამდენათ შეიცვალა ურთიერთობა აღმოსავლეთის გამოღვიძებულ ერებსა და საერთაშორისო იმპერიალისტურ ძალებს შორის.

თანდათანობით

იმ საერთო სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც არის ჩვენი, როგორც მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური მთავრობის პოლიტიკა—ათავებს ჩიჩერინი—ჩვენ უნდა შეუფარდოთ ის კერძო ამოცანები, რომლებიც დასმულია ჩვენს წინაშე და რომელთა შესრულება შეიძლება არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. თუ ისინი შესრულებული არ არის დღეს, შესრულებული იქნება ხვალ“ (ტაში).

---

*) კამათში მონაწილე ორატორების და ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა ხვალინდელ ნომერში იქნება მოთავსებული.

რ ე დ.

საკავშირო საბჭ. მთავრობის მოღვაწეობა

ამხ. რიკოვის მოხსენების გაგრძელება

საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა

ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა აღორძინების გზაზეა დამდგარი,—მუშათა და გლეხთა კავშირს მტკიცე ეკონომიური საფუძველი ჩაეყარა.—მუშათა კლასის ძლიერება გაიზარდა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად.—საქონლის გასაღების კრიზისის ნაცვლად ჩვენ ეხლა ზოგიერთი საქონლის ნაკლებობას განვიცდით.—სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად მთავრობა იღებს ენერგიულ ზომებს.—სოფელი ებმება აღებ-მიცემობაში.—ჩვენს მიზანს შეადგენს შევქმნათ მდიდარი საბჭოთა სოფელი.—ჩვენი მეურნეობის აღორძინებას თან სდევს მუშათა და გლეხთა ფართე მასების აქტივობის ზრდა.

გარდატეხის პერიოდი.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობიდან მესამე ყრილობამდი გასული პერიოდი—ამბობს რიკოვი—გარდატეხის პერიოდია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

საბჭოთა ეკონომიკის თითქმის ყველა დარგებში ჩვენ ისეთ შედეგებს მივაღწიეთ, რომლებმაც სრულიად შესცვალეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ტემპი და ფორმა. ამ შედეგების დიდ ნაწილს ჩვენ ვხედავთ მრეწველობაში და მცირე ნაწილს—მოუსავლიანობის გამო—სოფლის მეურნეობაში. ამასთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ მშრომელთა ფართო მასების აქტიურობის მნიშვნელოვან გაძლიერებას.

ანალიზი გაუკეთა რა ახალი პირობების თავისებურ მხარეებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იქამდი მუშების და გლეხების კავშირს განსაზღვრავდა, უმთავრესათ, მისი პოლიტიკური შინაარსი. ეს იყო კავშირი ბრძოლის საწარმოებლათ მემამულისა და კაპიტალისტის წინააღმდეგ, ამ კავშირს უფრო სამხედრო ხასიათი ჰქონდა. ეხლა ამ კავშირს ჩაეყარა ახალი აღმშენებლობის ეკონომიური საძირკველი.

კლასიურ ძალთა განწყობილება.

კლასიურ ძალთა განწყობილება ხასიათდება ეხლა მუშათა კლასის სიძლიერის გადიდებით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში, 1921 წელს, კლასიურ ძალთა განწყობილება ეკონომიურათ გამოიხატებოდა იმაში, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია უდრიდა ომის წინა ხანების პროდუქციის 56 პროც. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების პროდუქცია კი 18—20 პროც.

1925 წელში ჩვენ გვაქვს კლასიურ ძალთა სულ სხვაგვარი ურთიერთობა. მრეწველობის პროდუქცია უდრის ომის წინა ხანების პროდუქციის 70 პროც., სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი—72 პროც. ეს იმას ნიშნავს, რომ გასული წლების განმავლობაში მრეწველობა ვითარდებოდა და სცდილობდა გათანასწორებოდა სოფლის მეურნეობას, ეხლანდელი ყრილობისათვის კი ის სოფლის მეურნეობას დაეწია თითქმის ყველა დარგებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასის ძალები გაიზარდა არა მარტო პოლიტიკურათ, როგორც ეს წინეთ იყო, არამედ ეკონომიურათაც.

მუშა ეხმარება გლეხს.

მუშათა კლასის სიძლიერის გადიდებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მისთვის, არამედ გლეხობისთვისაც. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარება გლეხობას აძლევს წარმოების იარაღებს, იაფ საქონელს, აძლევს ბაზარს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის და სამუშაოს აძლევს სოფლის ზედმეტ მოსახლეობას. სოფელს მეტი საშუალება ეძლევა ებრძოლოს სიღარიბეს. რ. ს. ფ. ს. რ. საბჭოთა მე-8 ყრილობაზე—ამბობს რიკოვი—ლენინმა სთქვა, რომ მუშათა კლასს გლეხობის ვალი აქვსო. ეხლა ჩვენ შევუდექით ამ ვალის განაღდებას, რასაც ხელს უწყობს მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინება და განვითარება.

მეცნიერებით და ტეხნიკით

რიკოვი აღნიშნავს, რომ თუმცა მთელ რიგ დარგებში მიღწეულია—ანდა მიღწეული იქნება ახლო მომავალში—ომის წინა ხანების ნორმები, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ არის იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც წამოყენებული იყო ოქტომბრის რევოლიუციის მიერ. ჩვენი მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებამ შესაძლებლათ გახადა ჩვენი ფინანსიური სისტემის გაჯანსაღება. მერყევი ფულის ნიშნების მაგივრათ ჩვენ გვაქვს მტკიცე მანეთი. მთელ რიგ წარმოებებში ჩვენ არა თუ ომის წინა ხანების ნორმებს მივაღწიეთ, არამედ, ვფიქრობთ, ახალი ფაბრიკების და ქარხნების აგებასაც. ჩვენ პირველათ შევუდექით ჩვენი საკუთარი ფაბრიკების და ქარხნების აგებას—ახალი სოციალისტური მეურნეობის შექმნას. მაგრამ ყველა ეს მიღწევები სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სიღარიბე, სილატაკე და წერა-კითხვის უცოდინარობა უკვე გადალახულია. მთელს კავშირში, განსაკუთრებით სოფლათ, მხოლოდ ეხლა იწყება ბრძოლა სიღარიბესთან და უმეცრებასთან.

მაგრამ ეს ბრძოლა სწარმოებს უკვე მნიშვნელოვანი მიღწევების საფუძველზე, ზოგიერთ დარგებში კი წარმოებამ და საქონლის ბრუნვამ ომის წინა ხანების ნორმებს მიაღწია.

მეურნეობის წინ წასაწევათ და სიღარიბის გადასალახავათ საჭიროა მეცნიერების და ტეხნიკის გამოყენება. ამ მხრივ შემდეგი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში გაჩნდა საბჭოთა საზოგადოებრივი ინტელიგენციის ახალი ტიპი.

მშრომელი ინტელიგენცია—ჩვენთანაა

ჯერ კიდევ რამოდენიმე ხნის წინათ მასწავლებლების და ექიმების დიდი ნაწილი მტრულათ ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ეხლა კი ჩვენ ამ ფრონტზე ვხედავთ გარდატეხას. ინტელიგენციის შორის მოხდა მასიური პატიოსანი და გულწრფელი გადახრა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, რაც ნათლად დაამტკიცა მასწავლებელთა ყრილობამ. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკუთარი საბჭოთა ინტელიგენციის და სპეციალისტების წარმოშობას,—იმ სპეციალისტების, რომლებსაც უშვებენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები. უმაღლეს სასწავლებლებში ეხლა ორჯერ უფრო მეტი მოსწავლეებია, ვიდრე ომის წინ იყო. მოსწავლეების უდიდესი ნაწილი—მუშების და გლეხების შვილებია, რომლებიც ახლო მომავალში გახდებიან აგრონომებათ, ექიმებათ და მიწისმზომელებათ.

ფასების პოლიტიკა

შესრულებული მუშაობის საერთო აღრიცხვის და სამეურნეო განვითარების ძირითადი ფაქტების ანალიზის გარეშე,—ამბობს მომხსენებელი,—შეუძლებელია იმ ამოცანების მნიშვნელობის გაგება, რომლებიც ჩვენ გვაქვს დაკისრებული.

თუმცა 1921 წელი ითვლება ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისათ, მაგრამ, არსებითათ, მოუსავლიანობისა და სიმშილობის გამო, ჩვენ მხოლოდ 1921 წლის შემდეგ შევუდექით გეგმაშეწონილ მუშაობას. 1923 წლის შემოდგომა ჩვენი ეკონომიკის სფეროში ხასიათდებოდა გასაღების კრიზისით. შინაურ ბაზარს მთელი რიგი მიზეზების გამო არ შეეძლო გაესაღებია ის მცირედი პროდუქციაც კი, რომელსაც მაშინ ამზადებდა ჩვენი მრეწველობა. შემოდგომის კრიზისმა ნათელჰყო, რომ

ჩვენი მრეწველობისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სოფლის ბაზარი. ამ კრიზისმა დაგვანახვა, რომ ჩვენი მრეწველობა განვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთგვარი თანასწორობა იქნება მრეწველობის პროდუქციის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს შორის. ამიტომ მთავრობის მუშაობის პროგრამაში ჩვენი მეურნეობის ამ ორი დარგის დაკავშირების დროს დასმული იქნა საკითხი ფასებისა და მათი ნორმალური ურთიერთობის შესახებ. ამას შედეგათ მოჰყვა მნიშვნელოვანი მიღწევები. ამას ნათლათ ამტკიცებენ შემდეგი ციფრები; 1923 წლის ოქტომბერში მრეწველობამ გამოუშვა 110 მილ. მანეთის პროდუქცია, გაიყიდა მხოლოდ 30 მილიონი მანეთის; ნოემბერში მან გამოუშვა 105 მილ., გაიყიდა 30 მილ. 1924 წლის ნოემბერში მან გამოუშვა 142 მილ. მან. პროდუქცია, გაიყიდა 171 მილ. მან.

ეს გაძლიერებული მოთხოვნილება საფაბრიკო-საქარხნო პროდუქციაზე აიხსნება იმით, რომ 17 თვის განმავლობაში მთელს მრეწველობაში ფასები დაკლებული იქნა საშუალოთ 23 პროც., ერთი კვირის წინეთ კი მოხდა ფასების ხელახალი დაკლება 10 პროც., მეორეს მხრივ გაიზარდა პურის ფასები. ამრიგათ ჩვენ მივაღწიეთ მაკრატლის პირების დაახლოვებას, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით ხასიათდება შემდეგი ციფრებით:

1923 წლის ოქტომბერში მაკრატლის პირები დაშორებული იყო ერთმანეთისაგან 3,10 პროც., 1924 წლის სექტემბერში ის უდრიდა 1,36 პროც., 1925 წლის აპრილში კი—0,98 პროც.

მეურნეობის საერთო აღორძინება.

ფასების პოლიტიკამ და სახელმწიფო მრეწველობის გლეხთა ბაზრის მოთხოვნილებებთან დაახლოვებამ საგრძნობი შედეგები გამოიღო. 30 საწარმოო გაერთიანების პროდუქტების რეალიზაცია უკანასკნელი 17 თვის განმავლობაში გაიზარდა 40 პროც.—248 მილიონიდან ის ავიდა 344 მილიონამდი. მოსკოვის საქონლის ბირჟის ცნობებით, საქონლის ბრუნვა 1922-23 წელში გაიზარდა 271 პროც., პროვინციებში კი—195 პროც.

ამასთან ერთად წარსული სამეურნეო წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სამრეწველო საქონლის რეალიზაციის ზრდა. წარსული წლის მესამე და მეოთხე კვარტალში რეალიზაცია უკვე საგრძნობლათ აღემატება დამზადებას და გასაღებული იქნა არა მარტო წარსული სამეურნეო წლის პირველ ნახევარში დარჩენილი მარაგი, არამედ წინა წლების მარაგიც. ამის გამო, მრეწველობამ თავი დააღწია გასაღების ღრმა კრიზისს და გადავიდა მაღალ კონიუნქტურაზე, მრეწველობის ზოგიერთ დარგებში კი, რომელიც უმთავრესად ემსახურებიან გლეხთა ბაზარს, საგრძნობი გახდა საქონლის ნაკლებობა. ამან გამოიწვია სამრეწველო გეგმის გადასინჯვა მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

ლითონის მრეწველობის პროგრამა, რომელიც პირველათ შემცირებული იქნა, შემდეგ გადიდებული იქნა 15 პროც., ამჟამათ კი დასმულია საკითხი წარმოების კიდევ უფრო გაფართოვების შესახებ. ბამბის მრეწველობის პროგრამა გადიდებულია 20--30 პროც., რეზინის მრეწველობის 56 პროც., ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობის—37 პროც., ამას გარდა 1924--25 წლის მეორე ნახევარში გადიდებული იქნება მთელი რიგი დარგების საწარმოო პროგრამა.

ვალიუტა განმტკიცებულია.

წარსული წლის მნიშვნელოვან მიღწევათ სახალხო მეურნეობის აღდგენის სფეროში უნდა ჩაითვალოს ჩვენი საფინანსო პოლიტიკის წარმატება. სანამ ჩვენი მეურნეობა დამყარებული იყო მერყევ ვალიუტაზე, შეუძლებელი იყო ჩვენი ბიუჯეტის მტკიცე გეგმით შედგენა და მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენა. მტკიცე ფულის შემოღებასთან ერთად განმტკიცდა საკრედიტო სისტემაც. 1923 წლის დეკემბერში მთელ სახალხო მეურნეობას ჩვენს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში შეეძლო მიეღო მხოლოდ 22 მილ. მანეთი. ეხლა სახალხო მეურნეობას სახელმწიფო ბანკში გახსნილი აქვს კრედიტი 700 მილ. მანეთის რაოდენობით, ყველა საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში სახალხო მეურნეობის კრედიტი მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის უდრიდა 1.150 მილ. მანეთს.

ამასთან ერთად მომხსენებელი ყურადღებას აქცევს ჩერვონეცის სტაბილიზაციას და ფულის იმ მასის ზრდას, რომელიც ეხლა ხმარებაშია. 1924 წლის პირველი იანვრისათვის მთელს ქვეყანაში ხმარებაში იყო 303 მილ. მერყევი მანეთი, 1925 წ. პირველი იანვრისათვის კი იყო უკვე 767 მილ. მტკიცე მანეთი.

ჩვენი ბიუჯეტი იზრდება

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აღდგენის პროცესის მაჩვენებელია ჩვენი ბიუჯეტის ზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ სავსებით შეწყდა ქაღალდის ფულის ემისია და ბიუჯეტი გადავიდა მტკიცე საფუძველზე, ჩვენ ვხედავთ მის შეჩერებულ ზრდას (1922—23 წელს 1,332 მილ. მანეთზე მეტი, 1923—24 წელს 2 მილიარდ მანეთამდე, ხოლო ეხლა 2 ნახ. მილიარდზე მეტი. მეფის დროის ბიუჯეტი ომამდე აღწევდა 4 მილიარდამდე). ბიუჯეტის სიმტკიცემ და კრედიტის განვითარებამ საშუალება მოგვცა გაგვეფართოვებია საწარმოო ნაწილი ხარჯებისა სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის და სახალხო განათლების დარგებში. წელს შევსძელით აგრეთვე უდეფიციტო გაგვეხადა რკინისგზებიც, ფოსტაც და ტელეგრაფიც.

განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ მრეწველობას.

ამ წლის მიღწევები ჩვენს წინაშე სვამენ საკითხს მრეწველობის შემდეგი გაფართოების შესაძლებლობის შესახებ. მთელ რიგ დარგებში იმდენად გაიცვითა მოწყობილობა, რომ მისი შემდეგი განვითარება დიდათ იქნება დამოკიდებული ახალი ფაბრიკების აგებაზე და ახალი მოწყობილობის შეძენაზე. მრეწველობის ტეხნიკური მდგომარეობა ამჟამად, მოწყობილობის გაცვეთის გამო, აძვირებს პროდუქციას. ტეხნიკურ მოწყობილობის გამოცვლისა და ახალი ფაბრიკების აგებისათვის საჭირო საშუალებები განიზომება ასეულ მილიონებით. ხოლო თუ ჩვენ მოვახერხეთ უკანასკნელი წლის განვითარების ტემპის და მთელს სახალხო მეურნეობაში დაგროვილ საერთო ქონების შენარჩუნება, ჩვენ შეგვეძლება პრაქტიკულად მივუდგეთ დასახულ გეგმის შესრულებას ამ დარგში.

შრომის ნაყოფიერების გადიდება

მრეწველობის მიღწევები გასული წლის განმავლობაში აიხსნება შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიის წარმატებით ჩატარებით. ამ მხრივ უკვე გვაქვს ბევრი მიღწევები, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ტეხნიკური ჩამორჩენილობისა და გაცვეთის მიუხედავად. შემდეგი გაფართოვების ტემპის შესანარჩუნებლად საჭიროა შემდეგშიაც გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი წარმოების ტეხნიკური დონის ასამაღლებლად. ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ მუშაობა.

უმუშევართა საერთო რიცხვი 1924 წლის 1 იანვარში უდრიდა 1,225,000 კაცს, აქედან ინდუსტრიალური მუშები შეადგენდენ 301,000-ს. ამჟამად შრომის ბირჟაზე რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა რიცხვი უდრის 900,000 კაცს. მათ შორის ინდუსტრიალურ მუშათა რიცხვი—262,000-ს. ლითონის მრეწველობაში შარშან მუშაობდა 364,000 მუშა, ხოლო წელს მუშაობს 406,000; საფეიქრო მრეწველობაში შარშან მუშაობდა 402,000, ეხლა—609,000. ეს იმას მოწმობს, რომ მრეწველობის გაფართოების დასახულ გეგმასთან დაკავშირებით გაიზრდება მუშების რიცხვიც, გადიდდება მუშათა კლასის სოციალური ძლიერება. სამუშაო ხელფასის გადიდება 1924 წლის ბოლოს აღემატებოდა 100 პროცენტს 1922 წელთან შედარებით.

სასოფლო-მეურნეობის აღორძინება

შემდეგ რიკოვი გადადის სასოფლო-მეურნეობის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოუსავლიანობისა, ნათესების სივრცის აღდგენის პროცესს, რომელიც შარშან მთელს საბჭოთა კავშირში უდრიდა ომამდე არსებულ ნორმის 88,4 პროცენტს, ემჩნევა შემდეგი გაფართოვების ტენდენცია, მაგრამ, მიუხედავად ნათესების სივრცის გადიდებისა, საერთო პროდუქცია მოუსავლიანობის გამო შემცირდა თითქმის 8 პროცენტით. რაიონებში, რომლებიც ცნობილი არიან მოუსავლიან რაიონებად, სულ დაზარალდა 9,852,000 დესეტინა; ამ რაიონების მცხოვრებთა რიცხვი უდრის 12,254.000-ს. მაგრამ მოუსავლიანობამ, მთავრობის მიერ გაწეულ დახმარების შემწეობით, ვერ შესძლო ვერც მთელი სახალხო მეურნეობის დაცემა, ვერც სასოფლო მეურნეობის აღორძინების შეჩერება.

დახმარება მოუსავლიან რაიონებს.

ბრძოლა მოუსავლიანობის შედეგების წინააღმდეგ სწარმოებდა სამი მიმართულებით. მთავარ მიზანს წარმოადგენდა საგლეხო მეურნეობის, მისი ნათესების სივრცის და საქონლის შენარჩუნება. ამიტომ საშუალებათა მეტი ნაწილი მოხმარდა თესლების შეძენას და დახმარების გაღებას შინაური საქონლის შენახვისათვის. უშუალო დახმარება გაჭირვებულ მოსახლეობას ეძლეოდა ბავშვების კვების, მოზრდილთათვის კმაყოფის მიცემის და საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაგზავნის სახით, აგრეთვე მოუსავლიან რაიონებში პურის შეზიდვით.

შემდეგ მიღებული იყო ზომები მოუსავლიანობის მიზეზებთან საბრძოლველად. ეს ბრძოლა გამოიხატა მელიორაციაში, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ დაწესებულებების მიღწევების საგლეხო მინდვრებზე გადატანაში სიმინდის დათესვის შემოღების და სხვ. მხრივ.

სულ პირდაპირი და არაპირდაპირი დახმარების სახით გაღებული იყო 80 მილიონი მანეთი და აგრეთვე სათესლე ფონდისათვის 22 მილ. მანეთი. ამ დახმარების შემწეობით დაზარალებულ რაიონებში ჩვენ გვაქვს შემდეგი მიღწევები: რ. ს. ფ. ს. რ-ში საზამთრო ნათესების სივრცე გაიზარდა 10 პროცენტით, ხოლო უკრაინაში შემცირდა სულ მხოლოდ 1—2 პროცენტით. სახალხო მეურნეობის საკონიუნქტურო მიმოხილვის ცნობებით, მარტის განმავლობაში ადგილი აქვს საგაზაფხულო ნათესების გადიდებას. მუშა საქონელი არ შემცირებულა.

დახმარების გაწევის და სამელიორაციო მუშაობის გეგმის გატარების შემდეგ ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ძვირფასი წარმატებებისა, სწარმოებს სამელიორაციო ამხანაგობათა განვითარება. საერთო მდგომარეობა ასე შეიძლება დახასიათდეს, რომ საგლეხო მეურნეობანი შესუსტდენ, მაგრამ არ გაღატაკებულან, და ერთი წლის კარგი მოსავალი გამოასწორებს მდგომარეობას.

უკანასკნელი ცნობებით ნათესების მდგომარეობის შესახებ, მიმდინარე წლის მოსავალი არ უნდა იქნეს საშუალოზე ნაკლები

ბრძოლა მტკიცე საგლეხო მეურნეობისათვის.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ დავკმაყოფილდეთ გაწეული დახმარებით, არამედ განვაგრძოთ ბრძოლა მტკიცე საგლეხო მეურნეობისათვის და მოუსავლიანობის მიზეზების წინააღმდეგ გვალვიან ადგილებში. აქ ეკონომიურ და აგრონომიულ ღონისძიებებს გარდა, საჭირო იქნება სპეციალური საერთო-საკავშირო ფონდის შექმნა გვალვასთან საბრძოლველად. მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით, განზრახულია სამი წლის განმავლობაში შეიქნეს ფონდი 77 მილიონ მანეთის რაოდენობით, რომელიც მოხმარდება გრძელვადიან კრედიტების მიცემას გვალვიან რაიონებისათვის, მიწათმოწყობის, მელიორაციის, ინვენტარის განახლების და სხვა საჭიროებისათვის.

საქონლის გამრავლება სოფლად.

საქონლის და ფულის გაძლიერებული ტრიალი სახელმწიფოში თანდათან უფრო იპყრობს სასოფლო-მეურნეობას, რომელსაც ემჩნევა ცვლილება საბაზრო პირობებთან შეგუების მხრივ. სასოფლო მეურნეობა სულ უფრო და უფრო იწყებს მუშაობას ბაზრისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ნათესების სივრცის საერთო ზრდაში ტეხნიკური ინტენსიური კულტურები, განსაკუთრებით ბამბა, შაქრის ჭარხალი და სელი, იჩენენ მეტ ზრდას, ვინემ მარცვლეული კულტურები. მარცვლეულთა ჯგუფში საბაზრო კულტურები—საზაფხულო ხორბალი და ქერი—იჩენს მეტ ზრდას, ვინემ სასურსათო, სამომხმარებლო (სამაზთრო ჭვავი). სასოფლო მეურნეობა მტკიცედ დაადგა ინტენსიფიკაციის აღდგენის გზას, ებმება რა საბაზრო აღებ-მიცემობაში და მით აჩქარებს მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესს. გადასვლა მრავალმინდვრიან სისტემაზე, ნიადაგის მანქანებით დამუშავება და აკრეფა და სხვა ფართო პერსპექტივებს შლის სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე.

1924—25 წლის კამპანიაში სულ საბჭოთა კავშირში იყო 2,300 ტრაქტორი; აქედან საგლეხო მეურნეობათა განკარგულებაში იყო დაახლოვებით 1,700 ცალი. ტრაქტორებზე წარმოდგენილ მოთხოვნილებათა რიცხვი ამჟამად უდრის დაახლოვებით 12,000-ს, რაც მოწმობს იმას, რომ არ არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. მახლობელ დროის განმავლობაში განზრახული გვაქვს შემოვიტანოთ უცხოეთიდან და გამოუშვათ ჩვენი ქარხნებიდან დაახლოვებით ათასი ახალი ტრაქტორა.

სოფელი და სიმდიდრის საერთო დაგროვება სახელმწიფოში.

ახასიათებს რა სასოფლო მეურნეობის შემდეგ ამოცანებს, რიკოვი აღნიშნავს, რომ საწარმოო ძალების განვითარება სოფლად და საგლეხო მეურნეობის აღორძინების გაძლიერებული ტემპი წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ ელემენტს სახელმწიფოში სიმდიდრის საერთო დაგროვების საქმეში. ჩვენს საგლეხო მეურნეობათა უმეტესობას კიდევ ძალიან ნაკლებად ემჩნევა საქონლის მეურნეობის ნიშნები. შემდეგში განვითარების გადაუდებელი ინტერესები მოითხოვენ მაქსიმალურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასის საწარმოო ძალების განვითარებას.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობები მოწმობენ, რომ რამდენად უფრო მდიდარია მეურნეობა, იმდენად ის უფრო სწრაფად და შეურყევლად უახლოვდება საქონლის მეურნეობას. პირიქით: გაცილებით უფრო ძნელია უფრო სუსტი მეურნეობის გადასვლა მომხმარებლის მდგომარეობიდან საქონლის მეურნეობაში. წინანდელი პერიოდის იმ ნაშთების არსებობა, რომლებიც აფერხებდენ სიმდიდრის თავისუფლად დაგროვებას სასოფლო მეურნეობაში, ხელს უწყობს მონურ პირობების შექმნას და მეორე მხრით—ანელებს მთელი მეურნეობის აღდგენის პროცესს სოფლად შინაური ურთიერთობის ფარული მონური—მახინჯი სისტემა ხელს უწყობს კულაკის უკონტროლო გაძლიერებას და მოსახლეობის ღარიბ და საშუალო წრეების ექსპლოატაციას (მოსახლეობის სიმრავლის და უცხენო გლეხების რიცხვის სიდიდის გამო).

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების შინაური პოლიტიკა განისაზღვრება მით, რომ ჩვენი ეკონომიკის ორი ძირითადი ნაწილის უაღრესად განვითარების დროს თავიდან იქნეს აცილებული შეუფარდებლობა ორივე ნაწილის განვითარების ტემპში. ამის გამო, საჭიროა ამჟამად ხელი შეუწყოთ უფრო ნორმალური ურთიერთობის დამყარებას სოფლად, პირობები, რომლებიც აფერხებენ კერძო კაპიტალის თავისუფალ, მახინჯ დამბეჩავებელ-ექსპლოატაციურ ურთიერთობის განვითარებას და აფერხებენ სასოფლო მეურნეობის განვითარების პროცესს. კაპიტალის თავისუფალი დაგროვების დაშვებით, ჩვენ ვადიდებთ საქონლის ბრუნვას, ვადიდებთ სიმდიდრის დაგროვებას სახელმწიფო მრეწველობაში, სახელმწიფოს ნივთიერ რესურსებს და ვქმნით დიდ შესაძლებლობას ღარიბი გლეხობისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ვაბამთ მუშაობაში შეძლებისდაგვარად ზედმეტ მუშა ხელს როგორც სოფელში, ისე ქალაქში.

ყურადღება საშუალო და ღარიბ გლეხობას

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო წესით:

აღმოიფხვრეს დამმონებელი დამოკიდებულების შესაძლებლობა მიწის ფარულად იჯარით გაცემის ნიადაგზე; შემსუბუქებულ იქნეს იჯარის პირობები; გაგრძელებული იქნეს მიწების გადაყოფის ვადა ისე, რომ გლეხობა უფრო მეტად დაინტერესდეს მიწის კულტურული დამუშავებით და მრავალმინდვრიანობაზე გადასვლით; შეიქმნეს თავისუფალი დაქირავების პირობები და სოფლად მუშა ხელის გასაღების შესაძლებლობა; შეიქმნეს უფრო ფართო შესაძლებლობა სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიცემის საქმეში; უდიდესი ყურადღება მიექცეს მიწათმოწყობის საკითხებს, მიღებულ იქნეს საამისო საშუალებები; შემსუბუქებულ იქნეს გადასახადის სიმძიმე, პირველ ყოვლისა სოფლის ხელოსნისათვის. ამ საკითხების ნაწილი უკვე გადაჭრილია საკანონმდებლო წესით, ხოლო ნაწილი უნდა გადასჭრას ამ ყრილობამ.

საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება

ეხება რა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, რიკოვი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს საერთო შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხვედრი წონა ჩვეულებრივ შემოსავალთა სისტემაში შეუჩერებლად მცირდება. მომავალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის განზრახულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კიდევ უფრო შემცირება. 1924—25 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამი უდრიდა 370 მილ. მანეთს, ხოლო 1925—26 წელს 280 მილ. მანეთს; ამასთან ერთად ამ თანხიდან 100 მილიონი მანეთი გადადის ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ. გამოცდილების მიხედვით გლეხების სურვილით გადასახადში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებებისა, რომლებიც აუმჯობესებს კანონს; დამტკიცებული და შეცვლილია გადასახადის რაოდენობა და შეტანის ვადა, შემცირებულია შინაური საქონლის სახნავ მიწაზე გადაყვანა.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწესრიგება.

კრედიტების საჭიროება სასოფლო მეურნეობაში დიდია, საბრუნავ საშუალებებთან შედარებით. საბრუნავი საშუალებები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში უდრის, მაგალითად, 200 მილ. მანეთს, რაც სრულებით საკმარისი არ არის. ამასთან ერთად პროცენტები სესხზე ძალიან დიდია, ზოგჯერ ადგილებზე ის აღწევს 30 პროცენტამდე. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს ზომები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაიაფებისათვის და მოსახლეობის ანაბარების ფართოდ მიზიდვისათვის

უნდა შევქნათ მდიდარი საბჭოთა სოფელი.

არსებული მდგომარეობის ანალიზი,—ამბობს რიკოვი,—და შემდეგი განვითარების პერსპექტივები ამტკიცებს, რომ მიწის დამუშავების ელემენტარულად გაუმჯობესება, თავის დროზე დახვნა, ტრაქტორზე გადასვლა იძლევა მნიშვნელოვან ეფექტს, და არ მოითხოვს დიდძალი თანხის გაღებას სახელმწიფოს მხრივ. ამასთანავე შესაძლოა, რომ ახლო მომავალში სასოფლო მეურნეობა უფრო ჩქარა განვითარდეს, ვიდრე მრეწველობა.

ჩვენ წინაშე სდგას ამოცანა, რათა გავაძლიეროთ გლეხურ მეურნეობათა მთელი მასის განვითარება, ჩავაყენოთ სასოფლო მეურნეობის დაგროვილი დოვლათი სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ დოვლათის კალაპოტში, შევქმნათ მდიდარი საბჭოთა სოფელი.

საექსპორტო-საიმპორტო გეგმა.

შემდეგ რიკოვი აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია საგარეო სავაჭრო ბრუნვის განვითარება, როგორც ჩვენი ნედლი მასალის ექსპორტის დარგში, ისე საწარმოვო საშუალებათა და ნაწილობრივ ფართო მოხმარების საგნების იმპორტის დარგში.

იღებს რა მხედველობაში სასოფლო მეურნეობის ზრდას და შემჩნეულ საქონლის ნაკლულევანებას, მთავრობა უკვე იმუშავებს საექსპორტო-საიმპორტო გეგმას.

ერთიანი გეგმით.

გამოჰყავს რა დასკვნები ქვეყნის შინაურ მდგომარეობიდან, რიკოვი აღნიშნავს, რომ მომავალში ჩვენი სამეურნეო მშენებლობის განვითარების დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ერთიანი გეგმით, რომელმაც უნდა დააკავშიროს, მეურნეობის დარგების განვითარების მიხედვით, ძირითადი კაპიტალის აღდგენა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოვო ძალთა განვითარებაზე დახარჯული თანხები.

მრეწველობის გაფართოება—მორიგი ამოცანაა

მეურნეობის ზოგიერთ დარგში უკვე თითქმის სავსებითაა გამოყენებული ტეხნიკური მოწყობილობა და შემდეგი განვითარება შეუძლებელია ხელახალი მოწყობის და ახალი ფაბრიკების აშენების გარეშე. სიმდიდრის დაგროვების პროცესმა უნდა უზრუნველჰყოს ახალი ტეხნიკური პირობების შექმნა ჩვენი ქვეყნისათვის.

სასოფლო მეურნეობაში საჭიროა შემდეგი ინტენსიფიკაცია. მისი სწრაფად განვითარებისათვის საჭიროა გაფართოვდეს დამხმარე მრეწველობა-ტრაქტორების მშენებლობა, საყინულეები, ელევატორები და სხვ. მრეწველობის გაფართოვების გარეშე, ჩვენ ახლო მომავალში გვექნება საქონლის ნაკლულოვნება და განსაკუთრებით გლეხთა ბაზრის საქონლის სიმცირე.

მეორე რიგში.

ჩვენი ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარების გეგმაში დასმულია ისეთი პრობლემები, როგორც მაგ. საზღვაო არხის გაყვანა—ვოლგა-დონი, „დნეპროსტროი“, ნავთსადენი. ამ მოწყობილობათა აშენება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ჩვენი მეურნეობის მთავარ დარგებში მიღწეული იქნება ისეთი წარმატება, რომელიც ნებას მოგვცემდა გაგვეღო ხარჯები ამგვარ მოწყობილობისათვის.

პირველ რიგში აღდგენის გეგმა უნდა შეეხოს ჩვენი მეურნეობის მთავარ დარგებს.

კონკურენცია კერძო კაპიტალისტურ და სოციალისტურ მეურნეობის შორის.

შემდეგ რიკოვი აღნიშნავს, რომ დაგროვების თავისუფლება საქონლის მეურნეობის დროს აუცილებლად იწვევს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას, უფრო მძლავრ კულაკურ მეურნეობათა გაძლიერებას.

„მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ აღებული გვაქვს გეზი კულაკზე, როგორც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აღებული გვაქვს გეზი კაპიტალიზმისაკენ. შემდეგი სამეურნეო განვითარება მოხდება კერძო კაპიტალისტურ და საზოგადოებრივ სოციალისტურ მეურნეობათა კონკურენციის პირობებში.

ამ ორივე მეურნეობათა ერთად არსებობის პირობები მომავალ პერიოდში პრინციპიალურად განსხვავებული იქნება წინამორბედ პერიოდის პირობებისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში

ჯერ ერთი სავსებით განმტკიცდა და დაიპყრო მთელი ჩვენი ფულის ტრიალი ჩვენმა ფინანსიურმა და საბანკო სისტემამ.

მეორე. შრომის ნაყოფიერების აწევის, მრეწველობის განვითარების და ფასების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების წყალობით, ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურადაც თავისი ეკონომიური მნიშვნელობის მიხედვით გაუძლებს კერძო კაპიტალის კონკურენციას და შესძლებს უზრუნველჰყოს სახელმწიფოს გაბატონება სამრეწველო წარმოების და ვაჭრობის დარგში.

მესამე—კოოპერაციის ზრდას უკანასკნელ ხანებში, თუმცა ჯერ არ მოუცია ის შედეგები, რომელიც აუცილებელია ჩვენი კავშირისათვის, მაგრამ მაინც სამომხმარებლო კოოპერაციამ უკვე ჩაიგდო ხელში თვით საწვრილმანო ბრუნვის დაახლოვებით მესამედი ნაწილი. ამგვარად იგი წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ ეკონომიურ ფაქტორს სავაჭრო ბრუნვის დარგში ჩვენი სახელმწიფოს გავლენის უზრუნველყოფისათვის.

ყველაფერი ეს ერთად საშუალებას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს უფრო მეტის თავისუფლებით, ვიდრე წინად, გამოიყენოს კერძო კაპიტალი, განსაკუთრებით ვაჭრობის დარგში.

კოოპერაციის გადამწყვეტი როლი.

საზოგადოებრივ და კერძო კაპიტალისტურ მეურნეობათა მეტოქეობის საქმეში კოოპერაციამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი.

მეტოქეობას ადგილი აქვს, უმთავრესად, საქონლის ტრიალის პროცესში. საქონლის ტრიალი წარმოადგენს დამაკავშირებელ ჯაჭვს საბჭოთა ეკონომიკის ორ მთავარ დარგებს შორის—სახელმწიფო მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის შორის—და მას შეუძლია მცხოვრებთა კოოპერატივებში გაერთიანების დროს მოაქციოს ისინი სოციალისტურ ეკონომიკის პირობებში.

კოოპერაციის როლი მდგომარეობს იმაში, რათა დააკავშიროს სასოფლო მეურნეობა მრეწველობასთან მოხმარების და გასაღების მხრივ; წარმოების ხაზით უნდა განვითარდეს სოფლის ინდუსტრიალიზაციის საფუძვლები; ჩააბას გლეხობა სახელმწიფოს საქონლის ტრიალის პროცესში; სახელმწიფო მრეწველობის სისტემაში მოაქციოს შინამრეწველობა; ხელი შეუწყოს კრედიტების სისტემის საშუალებით მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე გადასვლას.

ამ პუნქტების შესრულების დროს კოოპერაცია უნდა სცდილობდეს ჩაითრიოს თავის სისტემაში გლეხთა ყველა ფენები, გააუმჯობესოს და გააფართოვოს თავისი მუშაობა, როგორც ხარისხობრივად, ისე რიცხვობრივად.

გლეხობა უნდა იქნას ჩაბმული საბჭოების მუშაობაში.

ჩვენი მეურნეობის აღორძინებასთან სდევს მუშათა და გლეხთა ფართო მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდა. ჩვენ ეხლა მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ამ მასების თვითმოქმედება ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესრულებას სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ ორგანოების მდგომარეობა, რომელი ორგანიზაციებიც მუშაობენ ბრძანებლობის უკვე მოძველებულ მეთოდებით, აღარ შეეფერება გლეხობის ფართო მასების გაზრდილ პოლიტიკურ აქტივობას. ეს შეუფერებლობა იწვევს გლეხობის სამართლიან უკმაყოფილებას.

ამიტომ ჩვენი საბჭოთა მშენებლობის უახლოეს ამოცანას შეადგენს—საბჭოების აქტიურ მუშაობაში გლეხობის ფართო მასების ჩაბმა.

საბჭოთა მუშაობის [illegible] ერთად—საჭიროა აგრეთვე [illegible] ნურ კანონიერების დამყარებას. ზოგიერთი აქტები ამტკიცებს, რომ ხშირად დღევანდელ მომენტშიაც ადგილი აქვს დაბალ საფეხურის ორგანოების თვითნებობას მცხოვრებთა მიმართ.

საბჭოთა მშენებლობის შესახებ გამართულ თათბირის დადგენილებებში არის მუხლი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საჭიროა ამჟამად გაძლიერდეს ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ, გაძლიერდეს იურიდიული დახმარება გლეხობისათვის და გაადვილებული იქნას საჩივრების აღძვრა ხელისუფლების ორგანოების და წარმომადგენელთა უწესო მოქმედების შესახებ. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება აუცილებლად საჭიროა.

ორი აუცილებელი პირობა

ათავებს რა თავის მოხსენებას, რიკოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის წინაშე დასმული ამოცანები შინაურ ცხოვრების მხრივ შეიძლება განხორციელებული იქნას შემდეგ ორ პირობის შესრულებით.

1) უნდა შეიქმნას წინმსვლელობის წინასწარი პირობა როგორც მეურნეობის, ისე კულტურულ განვითარების დარგში. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ე. წ. სტაბილიზაციით, ე. ი. ერთ წერტილზე გაყინვით ჩვენი მეურნეობის—ჩვენი მშენებლობის რომელიმე დარგში.

2) ეს წინმსვლელობა დამოკიდებულია მუშათა და გლეხთა შორის არსებულ კავშირის სიმტკიცეზე. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი· „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ წარმოადგენს არა მარტო მორიგ ამოცანას. მით განისაზღვრება სოციალისტურ მშენებლობის განვითარების მთელი ხანა და მტკიცე საფუძველი ეყრება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს. მისი სისწორით გადაჭრა უძლეველს გახდის საბჭოთა ხელისუფლებას (მქუხარე ტაში).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

კამპანია საბჭოთა კავშირის შეთანხმების სასარგებლოდ

კონსერვატორების წინააღმდეგ

ლონდონი. 14 მაისი. თემთა პალატის სხდომაზე 14 მაისს, როცა სწარმოებდა კამათი უმუშევრობის საკითხის შესახებ, მუშათა პარტიის წევრმა კლაინსმა განაცხადა: „მუშათა პარტია მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ შეიძლება შემდეგი ვაჭრობის წარმოება რუსეთთან. 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულებამ ვერც ერთი მხრივ ვერ მოგვცა ის, რაც შეიძლება გააკეთოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებისათვის“.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ ვაჭრობის განვითარება შეიძლებოდა, რომ დაკმაყოფილებული ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ოკეანეს იქითა ვაჭრობის საკრედიტო სისტემაში საბჭოთა კავშირის მოქცევის გზით, სწორედ ისევე, როგორც ეს ხდება საფრანგეთის მიმართ. ყოველ მინისტრი, რომელსაც არ სურს გაიგოს, რა დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის ბაზრებს და რუსეთის ვაჭრობას 3—3 წლის შემდეგ, როცა რუსეთის ვალიუტა კიდევ უფრო დაუახლოვდება ომამდე არსებულ პარიტეტს და საბოლოოდ განმტკიცდება,—ვერ ასრულებს თავის მოვალეობას სახელმწიფოს მიმართ, რომელ პარტიასაც არ ეკუთვნოდეს ის“.

კონსერვატორებს მათი პოლიტიკა დამარცხებამდე მიიყვანს

შემდეგ გამოვიდა კენვორტი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობა ხელს იღებს რუსეთთან ვაჭრობის შესაძლებლობაზე პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებების გამო. კენვორტიმ განაცხადა: ეს სამარცხვინოა. მე იმედი მაქვს, რომ **ამ პოლიტიკას მოჰყვება მთავრობის დაცემა. კონსერვატორების მთავრობას წილად ხვდება ისეთი დამარცხება, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს არც ერთ კონსერვატიულ მთავრობას“.**

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან

ლონდონი. 14 მაისი. „დეილი კრონიკლ“ ბეჭდავს რაკოვსკის საუბარს ჩარლზ სტიუარტთან—„ინგლის-რუსეთის დაახლოვების ასოციაციის“ თავმჯდომარესთან. რაკოვსკიმ თავის საუბარში სხვათა შორის აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა სცდილობს განავითაროს მრეწველობა ციმბირში და გადაახალისოს საბჭოთა ტრანსპორტი. ამ მუშაობაში, რაკოვსკის სიტყვით, სასურველია პრაქტიკული მეგობრული თანამშრომლობა ინგლისის მხრივ.

„პრავდა“-ს აკრძალვა ინგლისში

დემიან ბედნის „სახარებამ“ დააფრთხო „მართლმორწმუნე“ კონსერვატორები

ლონდონი. 14 მაისი „დეილი კრონიკლ“ იტყობინება, რომ ინგლისში ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს მიერ **აკრძალულია გაზეთ „პრავდა“-ს გავრცელება.** სამინისტროს განკარგულებაში ნათქვამია, რომ „პრავდა“ წარმოადგენს „უღირს ლიტერატურას“ აკრძალვა გამოწვეულია „პრავდა“-ში ანტირელიგიურ სატირების მოთავსების გამო.

რევოლუციონური ბრძოლის სასარგებლოდ

ლონდონი, 14 მაისი. თბილისის სამთომადნო მუშების ფედერაციის მდივანმა **კუკმა** ბულვიჩში გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ტრედიუნიონების წევრთა შორის მთლიანობის აუცილებლობის შესახებ და განაცხადა:

„პროფკავშირების ლიდერები დადიან კვირაობით ეკლესიებში და სხვადასხვა სადღესასწაულო კრებებზე და ლაპარაკობენ ძმობაზე. სურვილი მათ ბევრი აქვთ, მაგრამ არც ერთი სურვილი ჯერ არ ყოფილა შესრულებული. ტრედიუნიონიზმი მიდის საფოსტო კარეტებით, როცა ჩვენ ვცხოვრობთ ჰაეროპლანების და წყალ ქვეშა ნავების ეპოქაში“.

გლეხთა მოძრაობა მექსიკაში

მექსიკა. 14 მაისი. მექსიკის მუშათა და გლეხთა პარტიებს შორის, რომლებიც აქამდი ერთად მუშაობდენ და მხარს უჭერდენ პრეზიდენტ კაიესს, მოხდა განხეთქილება, რომელიც გამოიწვია მექსიკის მთავრობის მიერ აგრარული რეფორმის განხორციელების გადადებამ.

თავისი მოუთმენლობით **გლეხები აიძულებენ აგრარულ პარტიას გაილაშქროს კაიესის წინააღმდეგ. გლეხები ძალით იკავებენ მიწებს. თავის მხრივ მთავრობა იღებს ზომებს გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობათ. ამას წინათ კაიესმა გასცა ბრძანება გლეხების განიარაღების შესახებ.**

საფრანგეთში არ მოსწონთ ცანკოვის პოლიტიკა

პარიზი, 14 მაისი. ბრიანთან შეხვედრის შემდეგ ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა კალფოვმა „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბულგარეთში თანდათან მყარდება წესრიგი, მაგრამ კომუნისტების ყოველთვის შესაძლებელი გამოსვლა აიძულებს მთავრობას არ მოხსნას ჯერჯერობით საალყო წესები. კალფოვმა იმედი გამოსთქვა, რომ ბულგარეთი შესძლებს 31 მაისამდი დაშალოს ის დამატებითი კადრები, რომლებიც მან შექმნა მოკავშირეების ნებართვით.

ამის გამო მემარცხენე ბლოკის ერთ ერთი გავლენიანი ჟურნალისტი ლოტიე გაზეთ „ომ ლიბრში“ სასტიკათ ილაშქრებს ბულგარეთის ყოველგვარი შეიარაღების წინააღმდეგ. ეს შეიარაღება, ლოტიეს აზრით, სრულიად ზედმეტია, რადგან „თავდასხმის მომწყობათ არასოდეს არ შეიძლება იყოს 10.000 კაცი“. შემდეგ ლოტიე ხაზს უსვამს იმას, რომ არ შეიძლება კომუნისტური თავდასხმა უწოდოთ პოლიტიკურ მკვლელობას, რომელსაც ყოველთვის მიმართავდენ ბულგარეთში.

სავინკოვის თვითმკვლელობის გამოძახილი

პარიზი. 14 მაისი. ცნობამ სავინკოვის სიკვდილის შესახებ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში.

ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები სავინკოვის თვითმკვლელობას ხსნიან იმით, რომ მან, როგორც სჩანს, დაკარგა იმედი იმისა, რომ რაიმე როლს ითამაშებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„იუმანიტე“ იგონებს სავინკოვის ისტორიას და დასასრულ სწერს: „სავინკოვმა ვერ შესძლო ეცხოვრა და მომკვდარიყო ისე, როორც შეჰფერის რევოლუციონერს“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გარდაიცვალა ისტორიკოსი კოტლიარევსკი.

ლენინგრადი. 13 მაისი. **12 მაისს გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოსი აკადემიკოსი ნესტორ კოტლიარევსკი.**

საბჭოთა კავშირის მრეწველობის გამოფენა,

მოსკოვი, 14 მაისი. გაიხსნა საბჭოთა კავშირის მრეწველობის გამოფენა. გახსნას დაესწრენ საბჭოთა საკავშირო ყრილობის წევრები, უცხოეთის სავაჭრო მისიების წარმომადგენლები მოსკოვში, სახელმწიფო მრეწველობის და კოოპერაციის წარმომადგენლები.

რ. ა. ლ. კ. კ. სრულიად საკავშირო კონფერენცია.

მოსკოვი, 14 მაისი. 19 მაისს მოსკოვში გაიხსნება რ. ა. ლ. კ. კ. სრულიად საკავშირო მე-4 კონფერენცია.

ტარიფის გადიდება ბამბაზე.

მოსკოვი, 14 მაისი. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა, რომ გადიდებული ტარიფი ბამბაზე გატარებული იქნეს პირველი მაისიდან.

საბჭოთა პაპიროსები სპარსეთში.

მოსკოვი, 14 მაისი. ლენინგრადის თამბაქოს ტრესტმა სპარსეთიდან მიიღო პირველი შეკვეთა უმაღლესი ხარისხის პაპიროსების დიდი პარტიის გასაგზავნათ.

შავი ზღვისაკენ ნავთსადენის გაყვანის შესახებ

სახელ. საგეგმო კომისიის პლენუმის დადგენილება

მოსკოვი. 15 მაისი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა თავის პლენარულ სხდომაზე განიხილა საკითხი გროზნოდან და ბაქოდან შავი ზღვისაკენ ნავთსადენების გაყვანის შესახებ და დაადგინა:

ითვალისწინებს რა ნავთის პროდუქტების ექსპორტების ზრდის პერსპექტივებს ამჟამად საგარეო ბაზრებზე შექმნილ ხელსაყრელ პირობების გამო, სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი აღიარებს, რომ ნავთის ექსპორტის პრობლემის გადაჭრა ნავთსადენთა მოწყობის გზით არის მიზანშეწონილი და ეკონომიურად დასაბუთებული. ნავთსადენთა გაყვანა ბაქოდან და გროზნოდან შავი ზღვისაკენ დროულია.

ნავთსადენთა მიმართულებად და საბოლოო პუნქტად ცნობილი იქნეს **გროზნოს ნავთსადენისათვის—ტუაპსე, ხოლო ბაქოსთვის—ბათომი.**

„გროზნეფტის“ მიერ შემუშავებულ პროექტებს ტუაპსეში ნავთსადენის გაყვანის შესახებ პრეზიდიუმი ამტკიცებს და შესაძლებლად სთვლის შეუდგენ ამ ნავთსადენის გაყვანას.

გროზნოს ნავთსადენის გაყვანისათვის საჭირო მუშაობის გეგმასთან შეფარდებით, წინადადება ეძლევა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს შეუთანხმონ ერთმანეთს ტუაპსეს ნავთსადგურის შესაკეთებელ მუშაობის წესი და ვადა.

გროზნოს ნავთსადენის გაყვანისათვის საჭირო მუშაობის ფინანსებით დაკმაყოფილების მხრივ პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საფინანსო გეგმის შედგენის დროს აუცილებლად სახეში უნდა იქნეს მიღებული ამ მიზნისათვის „გროზნეფტ“-ის მოგების გამოყენება.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი, ღებულობს რა საფუძვლად „აზნეფტ“-ის მიერ წარმოდგენილ წინასწარ პროექტს ბაქოს ნავთსადენის მოწყობის შესახებ, წინადადებას აძლევს უკანასკნელს დაამთავროს პროექტი და წარუდგინოს საგეგმო კომისიას 1 აგვისტოსათვის. ფინანსიურ შესაძლებლობათა აღნიშვნით. მახლობელი დროის პროექტიულ ღონისძიებათ პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის დაჩქარებული იქნეს მუშაობა ნავთსადენის ადგილი მოსაწყობად ბათომიდან სად. ხაშურამდე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ბამბის ქარხანა.

სოხუმი, 15 მაისი. აფხაზეთის ბამბის გადასამუშავებლათ ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი სამურზაყანოში ხსნის სპეციალურ ქარხანას, რომელიც დაჯდება 50.000 მანეთი. აფხაზეთის მებამბეობის ცენტრია სამურზაყანოს მაზრა.

ფსიქიატრიული საავადმყოფო.

სოხუმი. 15 მაისი. მაისის დამლევს სოხუმში გაიხსნება ფსიქიატრიული საავადმყოფო.

სომხეთი

მიწისძვრა ლენინაკანში

ლენინაკანში, 14 მაისი. 14 მაისს ლენინაკანში ადგილი ჰქონდა მიწისძვრას; მიმართულება—ჩრდილოეთიდან სომხეთისაკენ.

მეცხვარეობის განვითარება.

ერევანი, 14 მაისი. მეცხვარეობის განსავითარებლათ სომხეთში შესდგა საზოგადოება, რომლის კაპიტალი უდრის 150.000 მანეთს; საზოგადოებას ჰყავს 8.000 ცხვარი.

მიღებულია ზომები ადგილობრივ ცხვარის ჯიშის გასაუმჯობესებლათ

უკანასკნელი ცნობები

ფაშისტების თავხედობა

ბერლინი. 15 მაისი. ფაშისტების კავშირის „ფოლადის მუზარადი“-ს [illegible] ობერბრუგში ჰინდენბურგის გამარჯვების გამო გამართულ დღესასწაულზე, მოხდა შეტაკება ფაშისტებსა და მუშებს შორის, რის დროსაც ფაშისტებმა მოჰკლეს 12 მუშა და მძიმედ დასჭრეს 5.

შეტაკება პარტიზანებთან

ვენა. 15 მაისი. ბულგარეთის გაზეთების ცნობით ბაზარჯიკის მახლობლად მომხდარა შეტაკება პარტიზანების რაზმსა და მთავრობის ჯარებს შორის.

შეტაკების დროს მოკლულ იქნა 7 პარტიზანი, დაჭრილია ბევრი.

სამხრეთ-სლავიის მთავრობის თვითნებობა

ვენა. 15 მაისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ იტალია-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე დააკავა უნგრეთიდან საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი ცხენების ტრანსპორტი, რომელიც ფიუმეთი უნდა გადაგზავნილიყო ოდესაში.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა ასაბუთებს თავის მოქმედებას მით, თითქოს ეს ცხენები იგზავნებოდა წითელი ჯარისათვის და ამიტომ იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც სამხედრო მასალა.

სიმტკიცემ გასჭრა

ვენა. 15 მაისი. ამ უკანასკნელ 4 დღის განმავლობაში რუმინელ კომუნისტთა საქმის გარჩევა შესწყდა, რადგანაც ბევრმა ბრალდებულმა სიმშილობის გამო ვერ შესძლო გასამართლებაზე დასწრება,

საქმის მოსმენა გაგრძელდა მხოლოდ 14 მაისს, მას შემდეგ, რაც ბრალდებულებმა სიმშილობის გამოცხადებით მიაღწიეს დაპატიმრებიდან განთავისუფლებას.

მაროკოში

როგორ ულეტენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ

პარიზი, 14 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: საფრანგეთის შეტევამ ბიბანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა რიფფების მთელ მხარეში.

მძიმე არტილერიის მოქმედებამ, განმეორებითმა შეტევებმა და ჰაეროპლანებით დევნამ დიდი ზიანი მიაყენა აჯანყებულთ.

მიუხედავათ ბრძოლების გაცხარებული ხასიათისა, ფრანგების დანაკლისი უმნიშვნელოა, რადგანაც არტილერია მეტად სარგებლობდა მიტრალიეზებით.

სავინკოვის თვითმკვლელობის გამოძახილი

ბერლინი, 15 მაისი. ბერლინის გაზეთები სავინკოვის თვითმკვლელობის ამბავს ათავსებენ უკომენტარიოდ.

პოლონელი პანები რას იტყვიან?

ვარშავა, 15 მაისი. უკრაინელმა დეპუტატმა ვასინჩუკმა, რომელსაც მისჯილი აქვს ერთი წლის ციხე, მიიღო წერილი საფრანგეთის მინისტრთა თავმჯდომარე პენლევესაგან. პენლევე სწერს, რომ მისი დღევანდელი მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას ჩაერიოს უკრაინელ დეპუტატების საქმეებში, მაგრამ იგი უცხადებს ვასინჩუკს თავის ღრმა თანაგრძნობას.

აგრეთვე ინგლისის პარლამენტის წევრმა კენვორტიმაც გამოუგზავნა ვასინჩუკს წერილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ იგი ვერ დაესწრო როვნოში მომხდარ გასამართლებას, რადგანაც მან გვიან მიიღო ცნობა ამის შესახებ. კენვორტი პირდება ვასინჩუკს, რომ იგი შეიტანს შეკითხვას ინგლისის პარლამენტში უკრაინელების მდგომარეობის შესახებ პოლონეთში.

ბრალდადებულ ვასინჩუკს წერილებით და დეპეშებით თანაგრძნობა გამოუცხადეს ლოიდ ჯორჯმა, გენდერსონმა, კლაინსმა, ბრონსდორფმა და სხვა.

პარტიული ცხოვრება

საგუბერნიო კომიტეტების საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებათა გამგეების თათბირი

პარტიის მთავარი ამოცანები ადგილებზე

მოსკოვი, 14 მაისი. საგუბერნიო კომიტეტების საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებათა გამგეების თათბირზე ანტიპოვმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების მთავარი ამოცანები მდგომარეობენ არა მარტო იმაში, რომ მიაღებინონ კომუნისტებს პოლიტიკური ცოდნა, არამედ იმაშიაც, რომ აღზარდონ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის გზით ადგილებზე ხშირად შემცდარი გზით ხდებოდა ეს ჩაბმა. მათ აბამდენ უმთავრესად ყოველგვარ ნებაყოფლობითი საზოგადოებებში და სხვა. პარტიული ორგანიზაციები ტვირთავდენ პარტიის წევრებს, არ უტოვებდენ მათ არც ერთ თავისუფალ დღეს, თათბირმა უნდა გამოიმუშაოს მთელი რიგი ზომებისა პარტიის თვითეული წევრის პარტიულ მოვალეობის და მუშაობის სისწორით განაწილებისათვის.

პარტიული მუშაობით დატვირთვა და ზედმეტი დატვირთვა

კატაევიჩმა თავის მოხსენებაში პარტიული მუშაობით დატვირთვის და პარტიული მუშაკების ზედმეტი დატვირთვის შესახებ აღნიშნა, რომ ზედმეტი დატვირთვა ცალკე პარტიულებისა უჯრედის აქტივიდან ქმნის მეტად არანორმალურ მდგომარეობას. მუშაკები მალე იქანცებიან. ფიზიკურად ისინი იმდენად დატვირთული არიან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გაზეთების წაკითხვის დროც არა აქვთ. უპარტიო აქტივი თავისი ზრდით წინ უსწრებს პარტიულ აქტივს. მიღებული უნდა იქნეს კატეგორიული ზომები ამ არანორმალურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. თათბირის ამოცანაა ისეთი ზომების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ აღმოფხვრას.

პარტიულ მუშაკების დაავადმყოფება

ცკკას ექიმმა პატიომკინმა შეავსო კატაევიჩის მოხსენება საქმიანი ცნობებით პარტიული მუშაკების დაავადმყოფების შემთხვევების შესახებ. პატიომკინი აღნიშნავს, რომ ავადმყოფ პარტიულ აქტივს შორის უმეტესობა დაავადმყოფებულია ნერვიული ავადმყოფობით, რაც უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია მხოლოდ მუშაობაზე და წარმოადგენს, მაშასადამე, პროფესიონალურ ავადმყოფობას. დაავადმყოფების მასალებიდან სჩანს, მაგალითად, რომ ძილი—ეს ერთად-ერთი მტკივნეული ადგილია პარტიული აქტივისათვის ძილი კი ერთ-ერთი მთავარი მომენტია ნერვიული სისტემის აღსადგენად. ჩვენ ვხედავთ ერთგვარ კავშირს მუშაობით ზედმეტად დატვირთვასა და პარტიული აქტივის დაავადმყოფების შემთხვევათა შორის.

სოფ. მუხრანის კომუჯრედი

ზემოხსენებული კომუჯრედი დაარსდა 1921 წ. ე. ი. სწორედ მაშინ, როდესაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება. პირველად ის თავის გარშემო იკრებდა პარტიის 10 წევრს და მუშაობაც საშუალოდ მიმდინარეობდა. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ კომუჯრედს შემოეფანტა თავისი წევრების უმრავლესობა და მასში დარჩა მხოლოდ 2—3 კაცი. ცხადია, ასეთ პირობებში ზედმეტი იყო ლაპარაკი უჯრედში პარტმუშაობის გამოცხოველების და გაძლიერების შესახებ. ამდენადვე შეუძლებელიც გახდა სოფლად კულტურულ-ეკონომიური მუშაობის გაჩაღებაც.

სულ სხვა მდგომარეობაა ამ ჟამად. მას შემდეგ, რაც კომუჯრედში ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციიდან გადაირიცხა სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, პარტმუშაობა და სოფლის მაჯისცემაც საგრძნობლად გამოცხოველდა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ დღეს, როდესაც უჯრედს უკვე მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი, უფრო აქტიურად ჩაება მთ ჩვენი სოფლის გლეხკაცობას ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ლ. მუხისგული.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მუშაობა ახალგაზრდათა შორის

ახ. მაზრკომი აწარმოებს დიდ ენერგიულ მუშაობას კომპარტიის სამკომთან შეთანხმებით. მაზრის მასშტაბით კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა საერთო რაოდენობა 1925 წლის 1 მარტამდე უდრიდა 1201. ამ სამი თვის განმავლობაში კომკავშირის ორგანიზაცია გაიზარდა 388 კაცით. კავშირის რიცხობრივი ზრდა—სამკომის წინაშე აყენებდა ამოცანას, რათა ყოფილიყო აღებული მტკიცე კურსი აღმზრდელობითი მუშაობის გასაღრმავებლად, რომ მით კომკავშირს მოეპოვებია სათანადო ავტორიტეტი უპარტიო ფართო მასსებში. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია საჭირო პრაქტიკული ნაბიჯი და ჯერ-ჯერობით მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობს.

შორაპნის მაზრაში არის ბატრაკული ახალგაზრდობის საკმაო რიცხვი, რომელიც აყვანილი არის აღრიცხვაზე და რომელთა შორის გაჩაღებულია კულტურული მუშაობაც.

სამწუხაროდ შორაპნის მაზრაში ბავშვთა კომჯგუფების რიცხვი ძალიან ცოტაა; რაც არის, იქაც ვერ მიმდინარეობს მუშაობა დამაკმაყოფილებლად. ეს უმთავრესად აიხსნება უსასრობით და მომზადებულ ძალების უყოლობით.

იმედია შემდეგისათვის ბავშვთა კომორგანიზაციების ცენტრალური საბჭო ამას მიაქცევს სერიოზულ ყურადღებას.

ქ. მ—ია.

სააგარაკო სეზონისათვის

ახალი დასასვენებელი სახლი

ფ. ტ. საოლქო კავშირმა დასასვენებელი სახლის ასაგებად ფ. ტელეგრაფის მუშაკთა კავშირისათვის გადასდო 8 ათასი მანეთი, სახლი აიგება ბორჯომ-ბაკურიანის რკინის გზის ხაზზე. სახლის აგება იწარმოებს მთელი ზაფხულის განმავლობაში. მუშების სახლში გაგზავნა დაიწყება მომავალი წლის საზაფხულო სეზონიდან. განზრახულია სახლი აიგოს 50 კაცის მოსათავსებლად.

კოჯორის აგარაკები ფ. ტ. მუშამოსამსახურეებისათვის

საოლქო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებლად საოლქო სამმართველო იჯარით ღებულობს თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებისაგან რამოდენიმე აგარაკს ს. კოჯორში. ამ აგარაკზე ბინა დაეთმობათ სულ მცირე ფასში საოლქო კავშირის იმ მუშაკებს, რომელნიც დასვენებას საჭიროებენ. საოლქო სამმართველოს და ფოსტატელეგრაფის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ ინახულა კოჯორის აგარაკები და ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენლებთან შეთანხმებით ამოირჩია აგარ[აკები].

სააგარაკო ქალაქი

საოლქო სამმართველომ შეიმუშავა გეგმა ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე საგარაკო ქალაქის გასაშენებლად ა.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა საჭიროებისათვის.

ქალაქის გაშენება იწარმოებს თანდათანობით.

აბასთუმანის აგარაკების შესაკეთებლად

მთავარი საკურორტო სამმართველო აბასთუმანში შეუდგა ამ ზაფხულისათვის გასაქირავებლად დანიშნულ აგარაკების შეკეთებას. ამ ზაფხულისათვის გასაქირავებლად დანიშნულია სულ 500 ათასი. მთავარ საკურორტო სამმართველოში ყოველდღიურად შედის მრავალი თხოვნა ოთახის დაქირავების შესახებ.

ბორჯომში:

მთავარი საკურორტო სამმართველო შეუდგა ელექტრო-სინათლით და ტალახით სამკურნალო შენობის მოწყობას ბორჯომში.

წყალსადენი ახტალაში.

მთავარ საკურორტო სამმართველოს ახტალაში გაჰყავს წყალსადენი, რისთვისაც უკვე შეუკვეთა მექანიკური მოწყობილობა.

ეკონომიური ცხოვრება

საქ. ეკ. უმ. საბჭოში

სატყეო ტრესტს.

უმ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა დასდოს ხელშეკრულება რკ. გზის სამმართველოსთან რკინისგზისათვის საჭირო სატყეო მასალის მისაწოდებლათ.

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

უმ. ეკ. საბჭომ დაამტკიცა აგარაკების—ბორჯომის, აბასთუმანის და წყალტუბოს ხარჯთ-აღრიცხვა დამდეგ სეზონისათვის 151,481 მან. რაოდენობით.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის

მასალების გამოსაცემად უმ. ეკ. საბჭომ გადასდო 10,169 მან.

მებამბეობა.

უმ. ეკ. საბჭომ საქ. მებამბეობის კომიტეტს გადასცა საქართველოში მოსულ ბამბის დამზადება-გაწმენდის საქმე. კომიტეტი მუშაობას შეუდგება 25—26 სამეურნეო წლის დასაწყისიდან. ყარაიაზში, შულავერში და ქუთაისში კომიტეტმა უნდა მოაწყოს ბამბის გამწმენდი ქარხნები ამიტომ კომიტეტს წინადადება მიეცა დაათვალიეროს ყველა ბამბის და ერბოს საკეთებელი ქარხნები (რომლებიც უკვე ჩამორთმეულია კერძო პირებისაგან და შეადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას) და ამავე ქარხნებიდან აღნიშნულ ადგილებში მოაწყოს მთავარი ქარხნები.

ნათესების მდგომარეობა ა.-კავკასიაში

(ა.-კ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს ცნობებით)

ამინდი აპრილში

გასული თვის—აპრილის ამინდი სოფლის მეურნეობისათვის ვერ გამოდგა სავსებით ხელსაყრელი: ხშირი წვიმები და ნალექების სიჭარბე ერთ რაიონში, ნაკლებობა მეორეში, ალაგ-ალაგ აბრკოლებდა შემოდგომის ჯეჯილების ზრდას და ხელს უშლიდა აგრეთვე საგაზაფხულო თესვას.

ა. წ. პირველი მაისისთვის სრული ცნობები მოიპოვება საშემოდგომო ნათესებზე, რომელიც მთელ ნათესების 53 პროცენტს შეადგენს. გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეული არ არის.

შემოდგომის ნათესების საერთო მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში.

1 მაისისთვის შემოდგომით დათესილი პურის მდგომარეობას გამოხატავდა ნიშანი 3,5, ხოლო ამავე სეზონში დათესილი ქერისას ნიშანი 3,6 ე. ი. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა საშუალოზე მაღალი იყო.

ცალ-ცალკე რესპუბლიკების მიხედვით

საშემოდგომო პურის მდგომარეობა ხასიათდებოდა საქართველოში 1 მაისისათვის ნიშანი 3,7-ით, აზერბეიჯანში—3,5, სომხეთში—2,8. შემოდგომის ქერი—საქართველოში—3,3, აზერბეიჯანში—3,6, სომხეთში—2,2.

აპრილის პირველ ნახევრიდან შედარებით ნათესებს გაუარესება ეტყობათ.

შემოდგომის პურებს ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ აზერბეიჯანისთვის 1924 წელს (სადაც ისინი 1924—25 წელს მთელი ნათესების 88 პროც. შეადგენენ) შემდეგ სომხეთისათვის—(30 პროც.-ს) და ყველაზე ნაკლები საქართველოსათვის (შემოდგომის ნათესები შეადგენენ 17 პროც.)

საქართველოს მაზრების მიხედვით შემოდგომით დათესილ პურების მდგომარეობა საშუალოზე მაღალია (3,5—4,5) შემდეგ მაზრებში თბილისის, გორის, დუშეთის და სიღნაღის მაზრებში.

ხოლო საშუალოზე დაბლა (1,5—2.4) სამხრეთ ოსეთში, ახალქალაქის და რაჭის მაზრებში.

ახალციხის და თელავის მაზრებიდან ცნობები არ არის.

ეს ცნობები დასავლეთ საქართველოს არ შეეხებიან, რადგან იქ შემოდგომის ნათესები მეტად უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენენ.

გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა

რაც შეეხება გაზაფხულის ნათესებს, მათ შესახებ ცნობები მოსულია შემდეგი მაზრებიდან: ბორჩალოდან (სადაც საგაზ. ნათესების მდგომარეობას გამოხატავს ნიშანი—3) სიღნაღის მაზრიდან (ნიშანი—3) თბილისის მაზრიდან (ნიშანი—4 ქერისათვის) და დუშეთის მაზრიდან (ნიშანი—4).

საერთოდ ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო ნათესების მდგომარეობა (სიმინდი ანგარიშში არ შედის) ჩაითვლება საშუალოდ.

ყარაიაზის არხების აღდგენა

ყარაიაზის წყლის სისტემა, რომელიც აგებულია ამ 60 წლის წინად, არ შეკეთებულა რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რის გამოც სრულიად დაინგრა და გაუვარგისდა. მარიინის მთავარი მაგისტრალი, აგრეთვე გამნაწილებელი და შემკრეფი არხები სილით და შლამით ამოივსო. არხების წყლის გამტარებლობა შემცირდა 60—70 პროცენტით. ამ უკანასკნელად 17 ათასი დესეტინა მოსარწყავი მიწიდან არხები რწყავდენ მხოლოდ 5—7 ათასს დესეტინას.

ხელოვნური ნაშენობანი სრულიად დაძველდენ და გაცვდენ.

წყლის ნაკლებობამ ამ რაიონში გასულ წელს გამოიწვია მცხოვრებთა შორის დიდი დავა წყლის განაწილების გამო.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ ყარაიაზის საარხო სისტემის აღსადგენად გაიღო 12 ათასი მანეთი. მუშაობის ხელმძღვანელობა დაევალა თბილისის საწყლო ოლქის უფროს ინჟ. ჯაფარიძეს, რომელმაც 37 დღის განმავლობაში მოახერხა არხების აღდგენა. მუშაობა სწარმოებდა 200 კვად. ვერსის მოედანზე. მთავარ სამაგისტრალო არხიდან ამოღებულია 300 კუბიკური საჟენი სილა და შლამი და 1.500 ცალი ხე. შემკრები არხები გაწმენდილია 100 ვერსის სიგრძეზე.

წყლით მოსარგებლეთა რწმუნებულების საერთო კრებამ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა ინჟ. ჯაფარიძის ღვაწლი, აირჩია იგი ყარაიაზის რაიონის წყლით მოსარგებლეთა საზოგადოების საპატიო წევრად.

ამავე კრებამ დაადგინა მიეცეს ჯილდოთ ინჟ. ჯაფარიძეს 200 მანეთი.

ყარაიაზის გლეხებმა გადასწყვიტეს შეაგროვონ ფული საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ვალის დასაფარავად.

გლეხის მეურნეობის გამოკვლევა

ამ მოკლე ხანში თბილისის აღმასკომის სტატ. განყოფილება იწყებს გლეხის მეურნეობის, ამ მეურნეობის ბიუჯეტის გამოკვლევას თბილისის მაზრაში. გამოკვლეული იქნება სულ 25 სამეურნეო ერთეული.

მაზრა დაყოფილია 5 ეკონომიურ რაიონად, სტატისტიკური ცნობების მიხედვით თვითეული ამ რაიონიდან ამორჩეული იქნება ყველაზე მეტად დამახასიათებელი სოფელი, ხოლო თვითეული ამორჩეული სოფლიდან გამოსაკვლევად აღებული იქნება 5 გლეხის მეურნეობა.

მეურნეობის ამორჩევა მოხდება სასოფლო ყრილობებზე, სადაც გლეხებს გააცნობენ გამოკვლევის მიზანს და მნიშვნელობას.

ყრილობებზე ამორჩეული იქნება ორი ღარიბი, ორი საშუალო და ერთი შეძლებული ღონიერი მეურნეობა.

გამოკვლევის ანკეტა შედგენილია დაწვრილებით, შეიცავს გლეხის მეურნეობის ბიუჯეტის და მცხოვრების ყველა მხარეებს.

ამ გამოკვლევიდან მიღებული მასალების დამუშავების შემდეგ. თბილისის სტატისტ. განყოფილებას ექნება მდიდარი ცნობები თბილისის მაზრის გლეხის მეურნეობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ვინაიდან ანკეტის შევსებას დასჭირდება საკმაოდ დიდი დრო, რის გამოც გამოსაკვლევი მეურნეობის მეპატრონე გლეხები კაი ხნით მოწყდებიან ჩვეულებრივ მიმდინარე მუშაობას, განუწყვეტლივ [illegible] მათ ჯილდო ანკეტების შ[illegible]სათვის.

საქონლის ნისიად მიცემა მუშა-მოსამსახურეებისათვის

თავის უკანასკნელ სხდომაზე, ა.-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მთავარი ყურადღება მიაქცია მუშა-მოსამსახურეებზე ნისიად საქონლის გაცემის საკითხს.

კოლეგიამ მოისმინა მოწესრიგების სამმართველოს მოხსენება და დაადგინა: მუშებზე ფართო მოთხოვნილების საგნების ნისიად გაცემა უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებით მუშათა კოოპერაციის საშუალებით.

შინა-ვაჭრობის კომისარიატის ადგილობრივ წარმომადგენლებს, რომლებიც ვაჭრობენ ბითუმათ, ნება ეძლევათ აწარმოონ ნისიად გაცემა დამოუკიდებლად, მხოლოდ ასეთი ნისიის პირობები უსათუოდ უნდა ეთანხმებოდენ კოოპერაციის მიერ ნისიად საქონლის გაცემის პირობებს.

კოლეგიამ დაავალა ა.-კ. შ.-ვ სახკ—მის რწმუნებულებს, 10 დღის განმავლობაში წარმოადგინონ დამუშავებული მასალა, მუშებისათვის საჭირო ნისიის რაოდენობის, ნისიის გაცემის დროის და პირობების შესახებ, რომლის მიხედვით გამწესრიგებელი სამმართველო შეათანხმებს ნისიის გაცემის პირობებს და დროს, რაც ეცნობათ დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

თანახმად კოლეგიის დადგენილებისა, საქონლის ნისიად გაცემისას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს საქონლის ამორჩევის დროს ძალდატანებას, არამედ უნდა სწარმოებდეს, სანისიო საქონლის თავისუფალი ამორჩევა.

ნისიად საქონლის გამცემი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ ამ საქმეს, ამ მიზნით მიღებულ საქონელს უნდა ასაღებდენ მხოლოთ თავის პირდაპირ დანიშნულებისამებრ.

მუშებისათვის საქონლის ნისიად გაცემის საქმე საქართველოში დავალებული აქვთ შემდეგ ორგანიზაციებს: ტფილისში, ბათომში, ფოთში, ბორჯომში, ჭიათურაში, ტყიბულში, ძირულაში და ჩაქვში—მუშკოოპებს ქუთაისში და სოხუმში—მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებს.

რკინისგზელებზე საქონლის ნისიად გაცემა—„ზაკტპო“-ს; სამხედრო უწყების მოსამსახურეებზე საქონლის ნისიად გაცემა ევალებათ: საქ. მთლ. სამხ. კოოპერატივს („ევკოგრუზი“) და „ბოეც ქ. კ. ა.“-ს.

ქ.

რკინის გზებზე

მარცხის გამოძიება.

უბედურ შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ განიხილა სადგ. უჯარმაში 22 აპრილს მომხდარი მარცხი და გამოარკვია, რომ მომხდარ მარცხში დამნაშავენი არიან: 1) მემანქანე სუდარუშკინი, რომელმაც არაჩვეულებრივის სისწრაფით შეაგდო მატარებელი დაკეტილ სემაფორში, რასაც შედეგად მოჰყვა მემანქანე ფანცულაიას დაღუპვა. 2) უჯარის სადგურის უფროსის თანაშემწე ფაშაბეგოვი, რომელმაც მატარებელთა რონინების შემდეგ წესიერად არ მოაწყო ისრები. ამავე პირმა გადაასწორა სანიშნო აპარატის წიგნში თავის მორიგეობის მიღების დრო. 3) სადგურის უფროსის მეორე თანაშემწემ მოქ. მამედოვმა გასცა არასწორი განკარგულებები, რის გამო გაუნათებელი დარჩა მისალები ისრები, 4) შჩეგლოვი—იმავე სადგურის უფროსის მესამე თანაშემწე.

მარცხების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ დაადგინა: 1) მოხსნას სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცეს სასამართლოს წინაშე მოქ. სუდარუშკინი. 2) მოიხსნას სამსახურიდან მოქ. ფაშაბეგოვი. 3) გამოეცხადოს მკაცრი გაფრთხილება მოქ. მამედოვს და 4) გაანთავისუფლოს პასუხისგებიდან მოქ. შჩეგლოვი, ჩაეთვალა რა 5 დღის დაპატიმრება.

ელექტ. ენერგია „ზაჰესი“-დან

ა|კ. რკ. გზ. სამმართველოს და თბილისის კომუნ. მეურნეობასთან შორის სწარმოებს მოლაპარაკება „ზაჰესის“ ელექტრონის ენერგიის რკინის გზაზე მოხმარების შესახებ.

ხანძარი ტყეში

14 მაისს, ნატანების სადგურიდან 40 საჟენის მანძილზე ხანძარი გაუჩნდა ტყეს. ქარის გამო მდგომარეობა ძლიერ სახიფათო შეიქნა. გამოწვეულ იქნა ბათომის ქალაქისა და რკ. გზ. მეხანძრეთა რაზმები. რაზმებმა უზრუნველჰყვეს სადგური ხიფათისაგან. ხანძარი დაიძრა ტყის სიღრმისაკენ.

საქონელი ბაქოს ბაზრობაზე

ს. ს. ს. რ. გზათა სახალხო კომისარიატმა მიმართა ყველა გზების სამმართველოებს მიიღონ ზომები, რათა საქონლის ტვირთი ბაქოს ბაზარზე იგზავნებოდენ დაუგვიანებლად.

აღრიცხვა

მ. წ. 1-ლ ივნისს დღის 12 საათზე დანიშნულია სავაგონო პარკებში მდგომ სამგზავრო ვაგონების აღრიცხვა.

მივლინება

ა|კ. სახ. კომისართა საბჭოა შიმართა ა|კ. რკინის გზის სამმართველოს გაუშვას მივლინებაში პროფ. გულენკო სატყეო მასალათა ექსპლოატაციისა და ტექნოლოგიის საქმეთა შესასწავლათ.

ბენზინის გადაზიდვა

ნავთსინდიკატმა მიმართა ა|კ. რკ. გზ. სამმართველოს თხოვნით მიიღოს შესაფერი ზომები ბენზინის საექსპორტო ტვირთზიდვის გადიდებისათვის.

მეტრიული სისტემა

რკ. გზათა ცენტრალურმა სამმართველომ მიმართა ა|კ. რკინის გზ. სამმართველოს შეადგინოს ზომათა მეტრიულ სისტემის შემოღებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

ინჟ. ე—ძე.

განათლების ფრონტზე

სოფლის ახალგაზრდობის მასწავლებელთა გადასამზადებელი საზაფხულო კურსები.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების თანამშრომელთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის შესახებ განათლების კომისარიატმა დაადგინა: მივლინებულ იქნას ერთ-ერთი თანამშრომელი მოსკოვში სოფლის ახალგაზრდობის სკოლების თანამშრომელთა გადასამზადებელი კურსების მსმენელათ და დაბრუნებისას დაინიშნოს გამგეთ ასეთივე კურსებისა, რომელიც გახსნილი იქნება თბილისში.

საბავშვო მოედნების მოწყობა.

განათლების კომისარიატმა დაადგინა რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში გახსნას 30 საბავშვო საზაფხულო მოედანი, მოედნებისათვის განათლების ინსპექტორების მიერ არჩეული უნდა იქნეს ისეთი პუნქტები, სადაც არსებობენ კოოპერატივები. გამოცდილ ხელმძღვანელების გარდა, მოედნებზე სამუშაოთ გაგზავნილი იქნებიან სასკოლო ჰასაკის აღზრდის კურსების მსმენელები. ამ მივლინების მოსაწყობათ განათლების კომისარიატმა გადასდო 8000 მან.

თავგასულობას ბოლო უნდა მოეღოს

ზაფხულის თბილი დღეები დადგა. თბილისის ქუჩები გაივსო მოსეირნე მოქალაქეებით. უმეტესობა მათგანი მუშაობის შემდეგ გამოდის საღამოობით ქუჩებში და სეირნობს გრილ ჰაერზე. მაგრამ ზოგიერთები გროვდებიან „ქებაძის“ და „ლაღიძის“ წინ და გამვლელ-გამომვლელთ მოსვენებას არ აძლევენ თავიანთ ცინიკურ ოხუნჯობით.

ზოგი მათ შორის ისეთი ჯურის ხალხია, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, ცოტა რამ შემთხვევა და მუშტიკრივებით მზად არიან შეტევაზე გადასასვლელად.

ზოგიც ბევრით [არ] განსხვავდება პირველებისაგან, მხოლოთ მათ აქვთ გარკვეული პროფესია „რაბისის“ წევრები გახლავთ. საერთო თვისება კი ორივე ჯურის მოქალაქეთა ღვინის სმა, ლამაზი და გრძელი სიტყვების წარმოთქმა, ქუჩებში მთვრალი სახით სეირნობა, მშრომელ მოქალაქეთა შეურაცყოფა და მუშტიკრივი.

ასეთი ვაჟბატონები ხშირად ამოჰკრანენ ხოლმე თავს მეორე სამილ. რაიონის უბანში, სადაც გამვლელ-გამომვლელთ და ახლო-მახლო მცხოვრებთ ხშირ-ხშირად ესმით მათი „პოეტური ნიჭით გალექსილი“ და შესანიშნავი მომღერალის მიერ გადმოცემული მუსიკალური „ჰარმონია“. ასეთი ვაჟბატონები მეორე დღეს მილიციის სამმართველოშიც გადმობრძანდებიან ახალ ბინაზედ, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ისინი ჯარიმდებიან სულ მცირეოდენით, ანდა სრულიად თავისუფლდებიან, როგორც ხელოვანთა კავშირის წევრები ან სტუდენტები და კვლავ ეწევიან უდარდელ ცხოვრებას ქეიფში და ლხინში. შერჩათ ერთხელ და ორხელ მოდარაჯე მილიციელის ცემა ტყეპა, კომისრის დედის გინება და პატიოსან მოქალაქის შეურაცხყოფაც.

ამხ. ხმალაძე ყოველთვის ანგარიშს უწევდა ყოველ ხელოვანს და თავაზიანად ეპყრობოდა მათ, მაგრამ თავაზიანობამ ამ ბოლო დროს არ გასჭრა და გადააჭარბეს.

მე მათი გვარს არ გამოვაქვეყნებ, ეს ხელოვანთა კავშირის საქმეა და საჭიროც არ არის, მხოლოდ მკითხველი-კი, რომელიც დაესწრო 14 მაისს საღამოს 8 საათზე რუსთაველის პრ. საოპერო და დრამის თეატრის შუა, მიხვდება თუ ვინ იყო ამ ამბავის ჩამდენი „მკლავაძე“, რომელმაც სცემა წესიერების დამცველთ მოდარაჯე მილიციონერებს, არ დაემორჩილა მათ კანონიერ მოთხოვნილებებს და ბოლოს ამოჰყო თავი მეორე სამილ. უბნის „უფასო სასტუმროში“.

განა დასაშვებია ასეთი საქციელი, როდესაც კულტურული მოქალაქე, ხელოვნების კავშირის წევრი და თუ გნებავთ პოეტიც ასეთ საზიზღარ საქმეებს სჩადის?

დროა ბოლო მოეღოს თავხედობას; ხელოვანთა კავშირმა სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მათ.

ამხ. ხმალაძე! თავაზიანობამ და პატიოსანმა მოპყრობამ ასეთ ვაჟბატონებს აწყინა. შემდეგში მაინც აგრძნობინეთ მათ რევოლიუციონური კანონები და დაიხსენით მოქალაქეები და მოვუშაგე მილიციონერები „ტარიელ მკლავაძეებისაგან“.

დამსწრე.

პატარა ფელეტონი

საპატიო პიონერი

მესამე რაიონის პიონერთა კრებამ დაადგინა: თბილისის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსი ამხ. ხმალაძე არჩეული იქნეს საპატიო პიონერად.

(დადგენილებიდან)

ერთი! ორი! სამი! ოთხი!
იცით, მე აქ როგორ მოვხვდი?
სულ უბრალოთ, სულ ადვილათ!...
ქე ვიჯექი ჩემთვის რბილათ
სელის სკამსა, თუ ავტოში...
(ეს უხვად მაქვს მე ამ დროში!)
მაგრამ, ალბად, ბედს შეშურდა,
არ ვიტყვი, რომ მეც არ მსურდა
ვქცეულიყავ რვა წლის ღლაპათ!
მივაბიჯებ აგერ „შკაპათ“:
ერთი! ორი! სამი! ოთხი!
აი, გაწყდა თქვენი ქოქი!..
წინ რიხინებს ბარაბანი...
მილიციავ, განი! განი!!!
ჩამოდექი, სუხიშვილო,
ნუ ხარ ისე უსირცხვილო,
რომ გზა სადმე გადამიჭრა:
არ მოგწონვარ, თუ რა ბიჭათ?!.
ამ ბლილ ღლაპებს, ამ წვრილ ნორჩებს,
შემარცხვინე, თუ ჩამორჩე!
მსგავსი სხვა გაუმაწვილება,
განა, კიდევ შეიძლება?
ხარატიან—შტეინახი
აწი თქვენთვის შეინახეთ...
ერთი!.. ორი!.. ორი! სამი!..
აღარ მინდა სელის სკამი.
ამ ქუჩებში „მარშიროვკას“
რა ჯობია, თუნდაც მომკლას!..
ვივლი... სიტყვაც მიმიცია...
ჩამოდექი, მილიცია!..

ონისიძე.

ქრონიკა

— **მოგზაურთა ცენტრალური ბიურო.** პოლიტ-განათლების მთავარსამმართველოსთან დაარსდა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენელთა ცენტრალური საექსკურსიო ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს როგორც რუსეთისა და სხვა მეზობელ სახელმწიფოებიდან საქართველოში მომავალ მოგზაურთა ჯგუფებს და ადგილობრივ ექსკურსიებს, ისე საქართველოდან სხვა სახელმწიფოში მიმავალ ექსკურსანტებს. მასთან ერთად ამ ბიუროს განზრახული აქვს შეაკეთოს მთების და მყინვარების ტურისტული თავშესაფარები. განზრახულია შესდგეს კადრი მუდმივ გამოცდილ ტურისტებ გამყოლებისა.

— **საშეფო სოფლისათვის.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ადგილკომი მიწა-ტყის კავშირთან ერთად კვირას, 24 მაისს, დიდუბეში მართავს დღის. ლატარიაში გათამაშებული იქნება საუკეთესო ჯიშის ცხენი. მთელი შემოსავალი გადადებულ იქნება საშეფო სოფელ არაგვიანისა (თელავის მაზრა) და მუშტაიდის საფაბრიკო საქარხნო სკოლის სასარგებლოთ.

— **ექსკურსია.** გეოგრ. საზოგადოების მთასვლა - მგზავრობის განყოფილება კვირას, 17 მაისს, აწყობს გაფრენს ქოროღლის ციხეზე. შეკრება დილის 5 საათზე კოჯრის გზაზე წყაროსთან.

— **ახალ დაბადებულთათვის რძის ფულად დამხმ.** კასამ აპრილში გასცა 11,339 მან.

— **ქართული ანბანი.** გამოვიდა და იყიდება წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოების (ყოფ. წ.-კ. გამ. საზ.) წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქ. № 5) ამავე საზოგადოების გამოცემა „ქართული ანბანი“. წიგნი შეიცავს 80 გვ. და ღირს—50 კაპ.

— **შრომის სახ. კომისარიატმა** მიმართა შ.-გ. ინსპექციას გააგრძელოს მუშაობა შრომის ნაყოფიერების გამოსაკვლევად.

— **ფუნიკულიორისათვის** ტრამვაის დირექციამ რუსეთში შეუკვეთა საჭირო ნაწილები.

— **ტყის გადაცემა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ ხეთის (ზუგდ. მაზრა) სატყეობიდან 162 დესეტინა ტყე გადასცა დასამუშავებლად საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს.

— **ტრამვაის დირექცია** ამ დღეებში რუსეთიდან („იუგოსტალი“-დან) მიიღებს 8000 ფ. ტრამვაის სალიანდაგო ზოდებს.

— **საბინაო გადასახადი.** მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა წინადადება მისცა ზუგდიდის აღმასკომს შეუდგეს საბინაო გადასახადის აკრეფას.

— **იშვიათი ჯიშის ხეები.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა ნება დართო სატყეო მრეწველობის ტრესტს სიღნაღის სატყეოებში დაამზადოს საზღვარ-გარეთ გასატანათ 800 ფუთი იშვიათი ჯიშის ხე სანიმუშოთ.

— **ქუჩების განათება.** ტრამვაის დირექცია შეუდგა ტრამვაის ყველა ხაზებზე ქუჩების განათებას.

— **თბ.** ყველა ტეხნიკუმებში მოსწავლე ახალგაზრდებიდან 616 მოსამსახურეთა შვილია, 527—გლეხების და 473—მუშების შვილები.

— **ბიბლიოთეკართა კრება.** ხვალ ნაშუადღევის 2 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ბიბლიოთეკართა საერთო კრება.

— **ჭიათურის წარმოებები.** შრ სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოიკვლიოს ჭიათურის შავი ქვის წარმოებებში შრომის ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების მდგომარეობა.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 17 მაისს დღის 12 საათზე თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ. ახვლედიანის მიერ შემდეგ თემაზე: „მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის განვითარების მეთოდები და საშუალებანი საქართველოში. ცეკავშირის აბრეშუმის სართავ-საქსოვი ქარხნები“.

ხელოვნება

— **სანიტ-განათლების წარმოდგენა.** დღეს, 16 მაისს, მეტყევეთა კლუბში ამავე კლუბის წევრთათვის გაიმართება უფასო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება სანიტარულ-განათლების ხასიათის პიესა „ბურუსი“. წარმოდგენის წინ წაკითხული იქნება ლექცია ლოთობის წინააღმდეგ.

— **„მარიცა“** ხვალ ოპერის თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით ხელოვანთა სასახლის მოსამსახურეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება ოპერეტა: „მარიცა“.

— **„თეატრი და ცხოვრებას“** საიუბილეო საღამო გაიმართება 28 მაისს რუსთაველის თეატრში.

— **საოპერო და დრამის თეატრების** მომავალი საშემოდგომო სეზონის საჭიროებისათვის საქ. უმ. ეკ. საბჭომ გადასდო 10,000 მან.

— **ხელოვნების მუშაკთა** კავშირი ოპერის ბაღში აწყობს საზაფხულო კლუბს, სადაც ყოველდღე გაიმართება წარმოდგენა.

— **წითელი თეატრი.** ხვალ, კვირას, მაისის 17-ს, 1924—5 წ. სეზონის დასასრულად წარმოდგენილი იქნება ევგ. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“ ალ. წუწუნავას დადგმით. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება სჯა-ბაასი წითელ თეატრის ირგვლივ. ადგილების ფასი 10 კ.—60 კ.-დე. დასაწყისი საღამოს სწორედ 8 ნახ. საათზე.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„მესსალინა“.

— არფასტო—„მუსტანგების წინამძღოლი“.

— სოლეი—„მაცდუნებელი“.

— მინიონ—„დედოფლის სიყვარული“.

— პალას—„ელენეს მოტაცება“.

— თვითმფრინავი—„ციხე და სასახლე“.

საბჭოთა სასამართლო

დის მკვლელი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. შომახის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმე არშაკ ზადოევის, რომელსაც ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 146 მუხლში გათვალისწინებული დანაშაული.

გასული წლის 4 დეკემბერს არშაკ ზადოევი მიდის საგუშაგოზე მდგომ მილიციონერთან, რომელსაც უცხადებს, რომ მან მოჰკლა თავისი და ვარენიკა ბილასანიანცისა. მილიციონერი იმ წამსვე გაეშურა ბოროტმოქმედების ადგილზე, სადაც ნახა შემდეგი სურათი: ვარსენიკა ბალასანიანცისა საშინლად დაჩეხილი ეგდო სისხლის მორევში, სიცოცხლის ნიშანწყალს მოკლებული; მას სხეულზე ჰქონდა 16 ჭრილობა.

კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ მოკლული ვარსენიკა ცუდი ყოფაქცევის ქალი იყო, რასაც ვერ ურიგდებოდა მისი ძმა არშაკ ზადოევი. ვარსენიკა, მესამე ქმარს განშორებული, ცხოვრობდა ძმასთან. მისი ცუდი ყოფაქცევის გამო ძმას ხშირად უსიამოვნება მოსდიოდა დასთან. ერთ დღეს ძმას დაუნახავს თავისი და, როცა ის სრულიად გარეშე და უცნობ პირს დაჰყვებოდა და უკითხავს მეორე დღეს მისი ვინაობა. ამაზე ვარსენიკას პასუხად უთქვამს: „ეგ შენი საქმე არ არისო“. ამ ნიადაგზე მოთმინებიდან გამოსულ ძმას აუღია დანა და სასიკვდილოდ დაუჭრია ვარსენიკა.

სასამართლომ ბრალდებულს მიუსაჯა 8 წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება, სასტიკი იზოლიაციით. უკანასკნელი ამნისტიის ძალით ბრალდებულს სასჯელის ვადა გაუნახევრდა.

შემთხვევები

— **ყაჩაღების თავდასხმა.** 9 მაისს დღის 6 საათზე სოფ. დაგვთის მახლობლად თბილისიდან მიმავალ მგზავრებს შიო მოლარიშვილს და გიორგი მგელიაშვილს თავს დაესხა 8 ყაჩაღი, მაგრამ მგზავრებმა, რომლებიც ცხენებზე ისხდენ, მოასწრეს გაქცევა.

— **ჯიბგირის ოსტატობა.** 14 მაისს შეიპყრეს ჯიბგირი ოჰანეზ ყაზაროვი, რომელმაც თავისუფლების მოედანზე მოქ. მარიამ ფარსადანოვას ჯიბიდან ამოაცალა 13 მანეთი.

— **ქურდი თანამშრომელი.** 14 მაისს დააპატიმრეს პირველ საავადმყოფოს მოსამსახურე ქალი გაბრიელოვა, რომელსაც აღმოაჩნდა ამავე საავადმყოფოდან მოპარული ზეწარი.

— **ქურდობა.** 12 მაისს სოლოლაკის ქ. № 12 საღამოს 10 საათზე მორგებულ გასაღების საშუალებით გაქურდეს ოლღა ბერიძის ბინა. წაღებულია: 77 მან. ნივთები.

მუშათა ცხოვრება

ასეთი მოსამსახურეები უნდა აილაგმონ

(რკ. გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

რკ. გზის ზოგიერთ მოსამსახურეები თავიანთ მოვალეობას წესიერად ვერ ასრულებენ. მატარებელზე მოსამსახური ქალები ძალიან დიდგულად არიან და ყვირიან კიდეც, თუ მგზავრმა მოსთხოვა ვაგონში უსუფთაობის გაწმენდა. იყო შემთხვევა, რომ ამის გამო რევიზორმა იმის მაგიერ, რომ მოსამსახურე ქალისათვის შენიშვნა გაეკეთებინა,—სულმთლად უდანაშაულო მგზავრებს ჯარიმა გადაუწყვიტა. ბედზე ხაშურის (სადაც ისინი გადმოსვეს) სადგ. უფროსი შესმენილი ადამიანი აღმოჩნდა, მგზავრები გაანთავისუფლა და მათ კი თავიანთ უსამართლობაზე მიუთითა.

ინფ. მ. მჟავანაძე ლალი

ასეთი ქალი უნდა აილაგმოს

(ქალთა განყ. და მილიციის საყურადღებოდ)

ოზურგეთის ქ. № 11 ცხოვრობს მოქ. **არდალიონ ლომთათიძე.** ეს მოქალაქე ჭორიკანობის მეტს არას აკეთებს. ათასგვარ ჭორებს უთხზავს აქ მცხოვრებ მშრომელ პატიოსან ქალებს და შემდეგ იმართება მუშტკრივობა. ამ უკანასკნელით აკლებულია აქაურობა, რისი მიზეზი მხოლოდ მოქ. არდ. ლომთათიძის ჭორიკანა ენაა.

საჭიროა აილაგმოს ეს ქ-ლბატონი, რომ მოსვენება მიეცეს აქაურ მცხოვრებთ.

მუშკორი **ნიკო.**

მყუდროების დამრღვევი უნდა მოარჯულოთ

(მე-9 უბ. მილიც. საყურადღებოდ)

მინკვიცევის ქ. სახ. № 16-ში ცხოვრობს **ევ. სავინოვი.** აუწერელია ამ მოქალაქის მაზეზარი მოქმედება. ის ყოველ დღე ჩხუბობს, ყვირის, მოსვენებას არ აძლევს აქ მცხოვრებთ. არა ერთხელ იყო ამის გამო ის მილიციის უფროსის მიერ გაფრთხილებული, ხელწერილიც კი დაადებინეს, მაგრამ მან მაინც არ მოიშალა თავისი. 4 მაისს მან სრულიად უმიზეზოდ აუტეხა იმავე ეზოში მცხოვრებს ჩაგმაველს ჩხუბი. ჩხუბმა გასტანა რამოდენიმე საათი და საშინლათ შეაწუხა იქაურობა.

საჭიროა გაძევებულ იქნეს ეს აბეზარი მცხოვრები აქედან.

მუშკორი **შეწუხებული.**

დაუშვებელია ასეთი მოქცევა.

(ნავთლუღის სადგ. ადმინ. საყურადღებოდ)

სადგურ ნავთლუღის დარბაზში ხშირად მოდიან და იკრიფებიან წითელარმიელები. იმ დროს აქვე მყოფი ქალები, რომელნიც მატარებელს უცდიან გასამგზავრებლათ, მეტად შევიწროვებული არიან. წითელ არმიელები აქ მდგომ ქალებს მიმართავენ ხოლმე საშინელ უწმაწურ სიტყვებით რითაც დიდ შეურაცხყოფას აყენებენ. ხშირად ეს უკანასკნელები იძულებული არიან სავსებით დასტოვონ დარბაზი და სადგურიც.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას და რაიმე ზომები იქნეს მიღებული, რომ მგზავრები აცდენილ იქნენ შეურაცხყოფას.

ახკორი **გარიყრაჟი.**

რას ჰგავს ეს

(მეორე უბნის მილიციის საყურადღებოდ)

აგერ ერთი კვირა არის დავდივართ მე-6-ე რაიონის ამბულატორიაში და ერთ და იმავე ალაგას, ამბულატორიის კარებთან სდგას ტაჩკა (რუსთაველის პროსპექტზე) ცხენის ნაკელით დატვირთული. ეტყობა, რომ ამხ. მეეზოვეს მოუცილებია ეს ნაგავი რუსთაველის პროსპექტისთვის და გადმოუხიზნავს ამბულატორიის კარებთან.

გასაკვირალია ისიც, რატომ არაფერს ამბობენ ექიმები ამბულატორიაში შესვლის და გამოსვლის დროს, როცა წინ ხვდებათ სიბინძურე.

მუშა **ს. მახხულია.**

ადგილკომი არ უნდა დაგეკეტათ

(რკ. გზის უბნკავშირის საყურადღებოდ)

თითქმის ერთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც ა | ქ. რკ. გზ. პროფტეხნიკური კურსების ადგილკომი დაკეტილია. ბევრ კავშირის წევრთ ჰქონიათ საქმე ადგილკომში, მაგრამ საქმის შესრულებას ვერ ღირსებიან. ჩვენ ვიცით, რომ ადგილკომში შეიჭამა ფული, მაგრამ მისი დაკეტვა არ არის დასაშვები. ამას წინად ადგილკომის თავმჯდომარე ფულის გაფლანგვისთვის გადააყენეს და მის მაგივრად დანიშნეს დროებით ახალი, მაგრამ ამ უკანასკნელს საქმეების ჩაბარება არ სურს და ადგილკომი ისევ დაკეტილია.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მიზეზით არის დაკეტილი ადგილკომი.

ადგილკომი საჩქაროდ უნდა იქნეს გაღებული. ამას მოვითხოვთ კავშირის წევრები.

მუშკორი **კ. ქვენობნელი.**

სიბინძურე გვაწუხებს

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

ყაზბეგის ქ. № 25 (1-ლი სამილიციო უბანი) ხელის სიფართე ეზოში სდგას ეტლი № 155 თავის ცხენებით. ამ ეზოში სდგას საშინელი სიმყრალე და აქედანვე გაჩნდნენ ბუზები. მიუხედავად მცხოვრებლების არა ერთი თხოვნისა, რაიონის სანიტ. ექ. **მგელაძემ** ცხენების გასაძევებლად არავითარი ზომები არ მიიღო. კარგი ქირით დაინტერესებულმა სახლის პატრონმა კი მათი გაძევება არ მოისურვა. ზამთარში ამხ. მგელაძე იძახდა: „სად გავაგდო ამ ზამთარში-“ო. გამოთბა. სამი თვეა, რაც ამხ. მგელაძეს აღარ შემოუხედავს.

ჯანმრთელობის განყოფილებავ, მიაქციე ყურადღება მგელაძის დაუდევრობას და მიიღე სათანადო ზომები.

ინფორმატორი **ველლო**

ფაბრიკა-ქარხნებში

„წარმოკავშირი“-ს სარექტიფიკაციო ქარხანა „ჭაჭა“ და საკასრე სახელოსნო

ქარხანა შეაკეთეს. აპრილის 19-დან მაისის 4-დე სარექტიფიკაციო ქარხანაში სწარმოებდა კაპიტალური შეკეთება, რის გამო იგი იდგა, ეხლა კი განუწყვეტლივ მუშაობს.

— **გამომუშავება.** 1 მარტიდან 1-მაისამდე ქარხანამ გადაამუშავა **391.000 გრადუსი** ჭაჭის არაყი, რომლიდანაც მიიღეს სპირტი: **1 ხარისხის 375.000 გრად.** დანარჩენი ხარისხები **47.600 გრად.**

— **განაღდება.** ამ ხნის განმავლობაში განაღდება **458.000 გრადუსი** საუკეთესო ხარისხის სპირტი.

— **საკასრე სახელოსნო.** კასრების დიდი საჭიროების გამო სარექტიფიკაციო ქარხანასთან გაიხსნა საკასრე სახელოსნო, რომელშიაც მუშაობს 12 კაცი.

— **გამომუშავება.** ერთი თვის განმავლობაში სახელოსნომ დაამზადა **278 კასრის ხვა და სხვა ზომისა.**

— ქარხნის შენობაში, მე-2-სართულზე ცხოვრობენ კერძო მდგმურები, ძირს კი ეზო სავსეა ხმელი ნაფოტებით და ბურბუშელით. საკმარისია სრულიად უნებურად ზევიდან გადმოვარდეს ერთი ნაპერწკალი, რომ ცეცხლი გაჩნდეს, ცეცხლის მხრივ ამ შემთხვევაში ქარხანა დაზღვეული არ არის.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს „წარმოკავშირის“ გამგეობამ ყურადღება და შესაფერი ზომები მიიღოს ეხლავე საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ინფ. **ტ—კა.**

პროვინციაში

გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის ხელისშემშლელი პირობები

(წერილი ჩხარიდან)

დღეს პარტიის, კომკავშირის და საბჭოთა ხელისუფლების მთელი მუშაობის ცენტრი გადატანილია სოფლად. ჩვენმა ბელადმა ილიჩმა უდიდეს ანდერძათ სოფლის და ქალაქის დაკავშირება დაგვიტოვა.

ამ ანდერძის ცხოვრებაში გატარებისათვის უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია მუშა და გლეხ კორესპონდენტებს.

მე მინდა გაზეთის ფურცლებზე აგწერო, თუ როგორ მდგომარეობაშია კორესპონდენტთა მოძრაობა ჩხარის რაიონში.

უნდა ითქვას, რომ ჩხარის რაიონში კორესპოდენტთა მოძრაობა ძალზე მოისუსტებს. რა არის ამ სისუსტის მიზეზი? მთავარი არის ის რომ კორესპოდენტთა მოძრაობას გასაქანი არა აქვს. თუ რომელიმე კორესპოდენტმა გაბედა და დასწერა კორესპოდენცია რომელიმე ორგანოს ნაკლზე, იმ წამსვე ერთი ალიაქოთი ატყდება და კორესპოდენტს სამედიატორო სასამართლოში იწვევენ. კორესპოდენტს ძალიან ნაკლებათ თუ გამოუჩნდება დამცველი და კორესპოდენტი კამდე მართალიც რომ იყოს, მაინც გაამტყუნებენ.

აქ მოვიყვან მაგალითისათვის ერთი ჩხარელი კომკავშირელის ნაამბობს (ეს კომკავშირელი წარსულში კორესპოდენტობდა გაზეთ „კომუნისტში“ და „მუშა“-ში, ეხლა კი კორესპოდენტობას თავი დანებებული აქვს). როდესაც მას შევეკითხე: „რათ არ გზავნი კორესპოდენციებს პრესაში პარტიულ ცხოვრებაზე ან სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე-თქო“, მან მიპასუხა: „არ ვსწერ იმიტომ, რომ თუ დავსწერე ქებით სავსე კორესპოდენციები, ხომ კარგი, მადლიერი არიან, თუ კი რამ ცუდი დავსწერე, მაშინ ზოგიერთი პარტიული ამხანაგებიც ცუდი თვალით დამიწყებენ ყურებასო. საკორესპოდენტო მასალები კი ძლიერ ბევრი მომეპოვება, მაგრამ ასეთი მდგომარეობის გამო ვერც ერთზე ვერ ვბედავ წერილის გაშვებასო“.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა, ძლიერ ვიწრო ჩარჩოებში აყენებს კორესპოდენტთა მოძრაობას მაშინ, როდესაც **ახალი სოფლის** შესაქმნელად იგი საჭიროებს ფართო გასაქანს.

მეორე ხელის შემშლელ პირობათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთ კორესპოდენტს სირცხვილათ მიაჩნია დეფექტებზე წერა. მათის შეხედულებით კორესპოდენტი თუ სწერს ნაკლზე, ამით აძლევს სააგიტაციო მასალას ანტისაბჭოთა ელემენტებს ეს შეხედულება არ არის სწორი და ამიტომ ის რაც შეიძლება ადრე უნდა მოვიშოროთ თავიდან.

ახკორი **ს.**

ცოტა რამ გლეხთა ექსკურსიის შესახებ

ბევრი თქმულა და დაწერილა სოფლისაკენ პირის მობრუნების შესახებ, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრივ ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა.

მართალია, ერთი ხელის დაკვრით ერთბაშად არაფერი გაკეთდება და აღნიშნული ამოცანის განხორციელებას დიდი დრო და დიდი მუშაობა ესაჭიროება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ათასგვარი საქმეებით დატვირთული ამხანაგების მოვლინება სოფელში არ უნდა ისაზღვრებოდეს მარტო „რა გაკეთდა“ და „არ გაკეთდა“-ს შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრეფით.

საჭიროა ჩაწვდომა გლეხის გულის სიღრმეში და ამოკითხვა მისი გულის ნადებისა და გაგება იმის: არის თუ არა კმაყოფილი.

ყველასათვის ცხადია, რომ სახელმწიფო აღორძინების გზაზეა დამდგარი. როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც ბევრი რამ გაკეთდა, მაგ. ქუთაისში აშენებულია საქსოვი ქარხანა, ადგილებზე გაყვანილია არხები, აგრეთვე ამ მოკლე ხანში დასრულდება ავჭალის ელექტროსადგური და სხვა... ყველა ამის შესახებ ბევრი ცნობები დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ გლეხი დარწმუნდეს სავსებით იმაში, თუ რა დიდი მუშაობა სწარმოებს აღმშენებლობითი დარგში. გლეხს თავისი თვალით არ უნახავს ის ცოცხალი ფაქტები, რის შესახებაც ჟურნალ-გაზეთებში სწერია.

გლეხებს რომ ჩამოუგდებ ლაპარაკს აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ, ისინი საყვედურის კილოთი გვეუბნებიან, რომ მანახვებდ ეს ვინმე-სავსებით დავრწმუნდებოდიო. ცხადია, ასეთი პასუხის შემდეგ იძულებული ხარ უთხრა: თუ გსურს დარწმუნდე, წადი და ყველაფერი თვალით ნახეო.

აი, სწორედ ამაშია საქმე!

წასვლა-მგზავრობას ქალაქებში ხარჯი სჭირდება, გლეხს ამისი ფული აბა სადა აქვს.

ამიტომ საჭიროა მოეწყოს გლეხთა ექსკურსიები იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც აშენდა და შენდება ფაბრიკა, ქარხანა, ელსადგური ან სხვა. ყოველ თემიდან უნდა აირჩეს გასაგზავნად 30 | 40 მეტი შეგნებული და დაკვირვებული გლეხი, რომელთაც უფასოდ მიეცემათ სამგზავროდ ვაგონი (საგზალს გლეხი თავის ოჯახიდან წაიღებს)

საექსკურსიო ადგილებიდან დაბრუნებულებ ი ნახულის შესახებ გლეხურ ენაზე გაუკეთებენ მოკლე მოხსენებებს თავ-თავიანთ სოფლის მცხოვრებთ. ეს უფრო დააჯერებს გლეხობას, მეტ ნდობას იგრძნობენ ისინი ხელისუფლებისადმი.

ურო.

პროვინციის ქრონიკა

— **ვენახების დაზარალება.** დიდი ყინვებისა და ცუდი ზამთრის გამო თელავის მაზრაში დაზარალებულია 1500 დესეტინა ვენახი.

— **იარაღ-მანქანების შესაძენად.** სიღნაღის სამაზრო გლეხკომს განზრახული აქვს აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე გლეხკომებისათვის სესხის მიცემის შესახებ სას.-სამეურნეო იარაღების შეძენის მიზნით.

— **კომუნა „წინსვლა“.** შორაპნის ალმასკომმა დაამტკიცა კომუნა „წინსვლა“-ს წესდება და ხელშეკრულება.

— **საკრედიტო ამხანაგობა.** ქუთაისის სას.-სამ. ბანკის განყოფილება სოფ. კაცხში (შორაპნის მაზრა) ხსნის საკრედიტო ამხანაგობას.

— **ალმასკომის შენობის შესაკეთებლათ.** სოფ. აკურის (თელავის მაზრა) მცხოვრებლებმა დაადგინეს გაყიდონ ძველი, უვარგისი სასოფლო შენობა და სამაგიეროთ შეაკეთონ ალმასკომის შენობა.

— **აგარაკ წყალტუბოში.** თბ. დამზღვევმა სალარომ გუშინ წყალტუბოში გაგზავნა დაზღვეულ ავადმყოფების პირველი რიგი.

— **ფიზიო-თერაპევტთა** საკავშირო ყრილობაზე (მოსკოვში) საქართველოდან მიემგზავრება პროფესორი ღამბარაშვილი.

— **თბილისის მცხოვრებთა კვლევის** გამოკვლევას თბ. ალმასკომის სტატისტ. განყოფილება შეუდგება 18 მაისიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სამშაბათს, 19 მაისს, ცენტრ. პარტკლუბში გაიმართება **პროლეტკულტის საღამო.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალა განყოფ. იუწყება: დღეს, 16 მაისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება ქართულ და რუსულ საagitაციო წრეების მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზატორებისათვის.

— კვირას, 17 მაისს, დილის 11 საათზედ მოწვეულია ახ. ლენ. კომ. კავშირის სახ. უნ. უჯრედების გაერთიანებული კრება. ევალება ყველა წევრსა და კანდიდატებს პარტიულ დისციპლინის ძალით გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

— თ. ქ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება წინადადებას იძლევა ორი დღის განმავლობაში საქ. არტილერიის მეორე დივიზიის შტაბში, ამხ. ა. სტურუასთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

შმიდტ სტიუარტ, წარიკაევ ალექსი, ბანდანოვი ივან, ქეშელა ვიქტორ, ქიჭინაძე დავით, ფენკინი ლევან, ანთაძე ანდრია.

— თ. ქ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფ. წინადადებას აძლევს ამხ. პირგულოვს („იუკავტორგიდან“) გამოცხადდეს ამხ. საკოვთან დღეს, 16 მაისს, დილის 1 საათზე.

— არსრაიკომი იუწყება: სამშაბათს, 19 მაისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიონის საშეფო კომისიების თათბირი. დღის წესრიგი: 1) საშეფო კომისიების ანგარიშები. 2) საშეფო კომისიების მუშაობის გეგმა. 3) რაიონულ საშეფო ბიუროს არჩევნები. 4) მიმდინარე საკითხები. დასწრება სავალდებულოა საშეფო კომ. ყველა წევრებისთვის.

— თბილ. კომიტეტი წინადადებას იძლევა: დღეს, 16 მაისს, დილის 9 საათზე, აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილებაში გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები.

1 რაიონიდან: ანანია კოსტა, ყოჩიევი ვასო, კალანდიოვ ერმოლე, პრასეიაკინ ვლ., პოპოვი მიხ., გაჩეჩილაძე შალვა, ალექსეევი სვიმონ.

2 რაიონიდან: მატკევიჩ მოსე, ჩანტლაძე გრ., ვერდენკო ვასილ, გურინშტეინ მაკარ.

3 რაიონიდან: ფანცხავა ნიკოლოზ,

4 რაიონიდან: რუხაძე არჩილ, ატოევ ნიკოლოზ, დანელია მიხ., მორგიანი პეტრე, ფირცხელავა ვასილ, ჩიკოშვილი შალვა, ალმაზოვ არმაის, შახნაზაროვ აშოტ, დიმირაშვილი სოლ., სკულტინ ვილი, ანტისური დავით, ნიკიტინ ნიკოლოზ, ბერძნიშვილი პროკ., საფაროვ გარეგინ, სერი ხ ალ., კევხიევ ალექსანდრ.

— მესამე რაიკომი იუწყება: დღეს, 16 მაისს, რაიკომის პარტკლუბში შესდგება მესამე რაიკომის კომუჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) „საერთაშორისო კაპიტალის სიმტკიცე და კომინტერნის ამოცანები“.

2) მიმდინარე საკითხები.

მდივანი **გართაპეტიანი.**

პროფესიული

— კვირას, 17 მაისს დილის 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება **თბილისის საბავშვო სახლების თანამშრომელთა კონფერენცია.** დღის წესრიგი: 1. მოხსენება ადგილებიდან: 1) 1-ლი საცდელ-საჩვენ. საბავშვო სახლი (გან. კომის). 2) მე-4-ხე საცდელ-საჩვენებ. სახლი (გან. კომ.—ის).

3) 1-ლი ახალშენი) თბილისის

4) სკოლა-კომუნა) განათლ. განყოფილებას.

5) სქემა საბავშვო სახლების საზაფხულო მუშაობის, საბავშო სახლების მუშაობის აღრიცხვა

მომხსენებელი **გოგუაძე.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: გერმან, დომნა, აპალონი, ქსენია და ლეილა მარშანიები გულის ტკივილით აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ, რომ 14 მაისს გარდაიცვალა ტრაღიკულად სადგურ სამტრედიის კიოსკის გამგე

იოსებ ნიკოლოზის ძე მარშანია,

რომლის ცხედარი დაკრძალულ იქნება ქ. სამტრედიაში, კვირას, 17 მაისს, ნაშუადღევს.

თავზარდაცემული დედა, ძმები: ლევანი და ირაკლი მარშანიები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავთ, რომ მაისის 14, ხუთშაბათს, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

იოსებ ნიკოლოზის ძე მარშანია,

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 17 მაისს, ქალ. სამტრედიაში.

დამწუხრებულნი რძალი სირინოზი წურქავასი, მაზლის შვილის ცოლი ნადია ივანეს ასული, მაზლისშვილები: ლავრენტი პავლეს ძე, მიშა, მელენტი იოსების ძე, იონა მაქსიმეს ძე, მართა, პასიკო, ვალერია პავლეს ასული წურქავები, ეფროსინე თუთბერიძისა, მაზლიშვილის შვილები გრიგოლ თუთბერიძე, გიორგი, ვალიკო, დათო ალექსანდრეს ძე წურქავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ბიცოლა

ანასტასია (ტასო) ლევანის ასული წურქავა,

რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს, 16 მაისს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე (კუკია), გამოსვენება დღის 3 საათზე საკუთარ სახლიდან ქ. თბილისში, ნადიროვკა, ჯავახეთის ქ. № 27. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე.

№ 1350—1—1

ღრმად დამწუხრებულნი—ძმა მიხეილ ლევანის ძე, რძლები ელისპირი და ედუ, ძმისწულები ხარიტონი და ვასასი თურქიები, სიძე სანდრო გიორგის ძე თურქია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 მაისს ღამის ორ საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ანასტასია (ტასო) ლევანის ასული წურქავასი,

რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს 16 მაისს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე (კუკია), გამოსვენება დღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან ნადიროვკა, ჯავახეთის ქ. № 27.

№ 1349—1—1

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მამა პავლე ესტატესძე, დედა მარიამ დიმიტრის ასული, ძმა ივანე პავლესძე, დები: ნინუცა, ქეთო და დარეჯანა პავლეს ასულნი და ბებია მართა თარხანის ასული ლომაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 17 მაისს, დღის 12 საათზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ალიოშას

სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

ნ. 1352. 1—1.

ღრმად დამწუხრებულნი იასონ და სევერიანე ისიდორეძე ჭუსელები და მათი და სოფია ისიდორის ასული ჭკუასელი აცნობებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 15 მაისს, დილის 6 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორის და მესამის რძალი

ჩირო (ლუდმილა) ლეონტის ასული წიქორიძე-ჭკუასელის

დასაფლავების დღე იქნება გამოცხადებული ხვალ.

ნ. 1357 1—1.

გამოვიდა წიგნი ი. მ. გალპერინის „ბალანსთა წარმოების საფუძვლები“ (საერთო დებულებანი აღრიცხვის ახალი თეორიისა).

ფასი 1 მ. 25 კ. გადაგზავნით 1 მ. 45 კ.

გამომცემლობის საწყობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა (ყოფილი ოლღის ქუჩა) № 14, ზინოვიევის სახელობის პრაქტიკული საანგარიშო ინსტიტუტი.

ამას გარდა წიგნების შეძენა შეიძლება შემდეგ მაღაზიებში: 1) დუმჩენკო (პლეხანოვის პროსპექტი, კირკის ახლოს), 2) სტუდენტთა კოოპერატივი (რუსთაველის პროსპექტი, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს კანტორის ქვეშ) და 3) სხვა მაღაზიებშიც.

ნ. 1177 1—1

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის მაღაზიებში

მიღებულია გასაყიდათ

ახალი პარტია საქონელი, მაგალითად:

მანუფაქტურა,
გალანტერეია,
პარფიუმერია,
საოჯახო საგნები,
რკინეულობა
და სხვა.

ფასები დაკლებულია

ბითუმად მყიდველებს ეძლევათ საგრძნობათ შეღავათი.

ნ. 1176 1—1

თბ. ალმასკომის სამნეო ქვე-განყოფილება

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 20 მაისს, დილის 10 საათზე ალმასკომის დარბაზში ოთახი № 10 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

3000 კ. საჟ. შეშის დამზადებაზე

წინადადებები დაბეჭდილი კონვერტებში და ყველა ცნობები შეშის დამზადების შესახებ მიიღება ოთახში № 25.

თბილისის ალმასკომის სამნეო ქვე განყოფილება.

ნ 1166

1925 **რუსთაველის თეატრი** მაისის 17 კვირას

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით

გაიმართება

ლიტერატურული საზოგადოებრივი გასამართლება:

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის

„ქალის ხიზნები“-ს

გმირები

თეიმურაზ ხევისთავი, მარგო და ჯაყო საბრალდებულო სკამზე.

სეით დევდარიანი საზოგადოებრივი მსჯავრმდებელი,

ივ. გომართელი—თავმჯდომარე,

ია ეკალაძე—სამოქალაქო მომჩივანი

ბრალმდებელნი: პ. დადვაძე, ელენე მამაცაშვილი, შალვა მურავიოვი, დამცველნი: შოთა დადიანი, მიხ. ლვამიჩავა, ა. ჩხენკელი. ბრალდებულნი გრიმებში მარგო—ა. ჩხენკელი, ჯაყო თ. მაღაროელნასიძე, თეიმურაზ ხევისთავი—X. სასამართლოში 6 ქალი 6 ვაჟი, წევრები: განდეგილი, ან. ერისთავ-ხოშტარია, ნინო ნაკაშიძე, დ. კლდიაშვილი, მიხ. კლიმიაშვილი, კ. ხომერიკი, დანარჩენი საზოგადოების არჩევნით. დისპუტში: ს. ამაღლობელი, შურა დუდუჩავა, ლევან მეტრეველი, ან. ლვინიაშვილი, ორი წარმომადგენელი სტუდენტებისა: ერთი ქალი, მეორე ვაჟი.

ვინაიდან თეიმურაზ ხევისთავს დამცველი არ აღმოაჩნდა, დამსწრე საზოგადოება თვითონ უნიშნავს

გასამართლებას რომანის ავტორიც დაესწრება

მოწმეებათ მიიღებიან, ვინც ამ მიზნით გამოცხადდება

ორატორთა ლაპარაკის დრო განსაზღვრულია

დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

ნ. 1164 4—3. პასუხისმგებელი **იოსებ იმედაშვილი.**

საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ცენტრალური გამგეობა

კავშირის უმუშევარ წევრების საყურადღებოდ აცხადებს, რომ კვირას, მაისის 17 დილის 10 საათზე კავშირის კლუბში (კირკის ქ. № 3) შესდგება უმუშევართა საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგში:

1. ანგარიში ჩ) კავშირის ც. გ. 6 თვის მუშაობისა—ამ. მინას.
2. ხელ-ახლად მოხდენილ აღრიცხვის შედეგები—ამხ. თურქია.
3. ბრძოლა უმუშევრობასთან—ამხ. კრუგლიკოვი.

პ | მ. მდივანი მინა.

ნ. 1356 1—1. საქმეთა მმართველი მ. სანაია.

პოლიტ. განათ. მთავარი სამმართველო

(წიგნებისა და საკან. ნივთ. განყოფილება)

შრომის სკოლებისა, პოლიტ-წრეებისა, მუშფაკებისა და პარტიულ სკოლების საყურადღებოდ.

დაიბეჭდა ქართულ ენაზე

და

გამოვიდა გ სასყიდათ

ა. ტიუმენევის ცნობილი სახელმძღვანელო

„შრომის ისტორია“

(პოლიტიკური ეკონომია)

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ბითუმათ შემსყიდველებს დაეთმობათ განსაზღვრული პროცენტები.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოდის ქართ. ენაზე

ბერდიკოვის და სვეტლოვის ცნობილი

„პოლიტგანათლების კურსი“

ვინაიდან ზემოხსენებული წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რაოდენობით, საჭიროა მსურველებმა ამ თავითვე დაიკვეთიან შემდეგი მისამართით: **რუსთაველის პრ. № 22.**

ზემოხსენებული წიგნების შეძენა შეიძლება პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის შემდეგ მაღაზიებში:

№ 1. რუსთაველის პრ. № 22.
№ 2. სადგურის და გოგოლის ქ. კუთხე.
№ 3. ვოლოდარსკის ქ. გლეხის სასახლის ქვეშ.
№ 4. პლეხანოვის ქ. № 101.
სენაკში—სენაკის განყოფილებაში.

სავაჭრო განყოფ. გამგე ა. ლორთქიფანიძე.

ნ. 1175 5—1

დაკარგე გორის დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 730. ივანე კურტანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1355 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა ნიკოლოზ გიორგის ძე ბაქრაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1353 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ფურცელი კოტე ზაქარიას ძე დვალის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1354 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 2416 აღებული სამხედრო კომისარიატში ვარლამ ვასილის ძე გძელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1351 1—1

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის

ბალანსი

1925 წელი 1-ლ მაისისათვის

აქტივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1. კასა და სახელდახელო ანგარიშები	661.516—62
2. ფასიანი ქაღალდები, უცხოეთის ვალიუტა, საქონელი საკუთარი	200.751—15
3. სათამასუქო ოპერაციები	323.733 01
4. სესხები საქონლის დაგირავებით	545.781—32
5. მოკლევადიანი სესხები	1.186.706—06
6. გრძელვადიანი სესხები	889.089—48
7. კორესპონდენტები	40.308—65
8. სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	165.560—12
9. ანგარიში განყოფილებებთან	1.052.496—07
10. ქონება	7.531—45
11. მიმდინარე ხარჯები	82.815—74
12. პროცენტები გადახდილი და დარიცხული, კომისია გადახდილი	70.011—26
13. პროტესტქმნილი თამასუქები	51.618—35
14. ვადა-გადაცილებული სესხები	20.884—15
15. საეჭვო ვალები	3.756—05
16. სხვადასხვა აქტივები	354.240—06
ბალანსი	5.656.799—54

პასივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1. კაპიტალები	1.465.734—85
2. სპეციალური თანხები განსაკუთრებ. დანიშნულებ.	225.679—48
3. სახელდახელო ანგარიშები	776 758—80
4. სესხები: ა) ა. კ. სას.-სამ. ბანკში	1.309.313—30
5. გადანაღდებული თამასუქები: ა) ა.-კ. სას.-სამ. ბანკში	80.000.—
6. სპეციალ. სახელდახ. ანგ. უზრუნველყ. თამასუქებით: ა) ა.-კ. სას.-სამ. ბანკში	255.000.—
7. კორესპონდენტები	300.—
8. კომიტენტები საკომისიო ოპერაციები	595—15
9. კლიენტები საქონლის ოპერაციებით	18.189—62
10. სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	90.432—11
11. ანგარიში გამგეობასთან	1.052.803—71
12. პროცენტები, კომისია და სხვა შემოსავალი მიღებული	192.558—67
13. ანგარიში მოგებისა და ზარალისა	6.506—17
14. სხვადასხვა პასივები	182.927—68
ბალანსი	5.656.799—54

ს. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა { ი. ანდრონიკაშვილი. ი. მენაბდე.

მთავარი ბუხჰალტერი გ. ტოგონიძე.

ტირაჟი—20.437

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქ. № 4